



Hope Abandoned

Personal Testimonies
from Georgian Prisons



ისპორიები
საქართველოს
ცინებებიდან

ისპორტიუმი
საქართველოს
ცინემატიკა

თბილისი
2014 წ



წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი (GCRT) წარმოადგენს არაკომერციულ, არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელიც ფსიქოლოგიურ, სოციალურ, სამედიცინო და იურიდიულ დახმარებას უწევს ტრაფიკრებულ ადამიანებს.

წინამდებარე პუბლიკაცია მომზადდა წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრის მიერ.

ნიგნზე მუშაობდნენ:

ქეთევან მღებრიშვილი, გოჩა გოშაძე, მაია ცირამუა, მარიამ ანთაძე, შორენა ზედგინიძე, ნანა ძნელაძე, ანა ჭიღვარია.

GCRT ფინანსური მხარდაჭერისათვის მადლობას უხდის ევროკავშირს, ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ და ზიგრიდ რაუზინგის ფონდს

ავტორების მიერ წინამდებარე მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდის „ღია საზოგადოება საქართველო“, ევროკავშირის და ზიგრიდ რაუზინგის ფონდის პოზიციას და შესაბამისად, ისინი არ არიან პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო



პროექტს აფინანსებს
ევროკავშირი

SIGRID RAUSING TRUST

2012 წლის 18 სექტემბერს, ქართული საზოგადოება საქართველოს პენიტენციურ სისტემაში არსებული წამებისა და არა-ჰუმანური მოპყრობის მონმე გახდა. სწორედ ამ დღეს მედიის საშუალებით გავრცელდა საიდუმლო ვიდეორჩანანერები.

ციხის კადრებმა თვალსაჩინო გახადა ის რასაც ვეჭვობდით, რისიც გვემინოდა, ან რაზეც ვდუმდით. იმ დღეს ადამიანთა ტკივილმა დატოვა კონკრეტული საკნები, ოჯახები და მთელი ჩვენი საზოგადოების ტკივილად იქცა.

ამ ფაქტიდან უკვე ორი წელი გავიდა, თუმცა წინა წლებში განხორციელებული დამამცირებელი მოპყრობისა და წამების მასშტაბი ჯერაც არ არის სათანადოდ გააზრებული და შეფასებული. ამ პუბლიკაციის მიზანია ჩვენი საზოგადოების თითოეულ წევრამდე მიიტანოს იმ ადამიანთა ხმა, რომლებმაც ციხის კედლებში გაუგონარი დამცირება, წამება და სისასტიკე გადაიტანეს.

წარმოდგენილი ისტორიები წამების მსხვერპლთა უშუალო მონათხრობია, რომლებმაც საკუთარი სხეულითა და ფსიქიკით ზიდეს ციხის იმდროინდელი სიმძიმე. როგორც ამ ისტორიების ერთ-ერთი გმირი ამბობს: – გისოსებს მიღმა გატარებული დღეები მისი ცხოვრების ნაწილია და არ არის წიგნის ფურცელი, რომ ამოხიო და გააქრო. იგივე შეიძლება ვთქვათ ჩვენც, მთელმა საზოგადოებამაც, ეს ჩვენი ყოფიერების ნაწილია, რომელსაც ვეღარ წაშლი, თუმცა შეიძლება ვიფიქროთ მე ვიტყოდი აუცილებელიცაა, რომ ვიფიქროთ და გავანალიზოთ, რომ აღარასოდეს დავეუშვათ ასეთი სისასტიკე.

სამწუხაროდ, დღემდე მხოლოდ რამდენიმე წამებაში მხილებული ადამიანი წარსდგა მართლმსაჯულების წინაშე. მათთან საპროცესო შეთანხმებები გაფორმდა, რის გამოც სასჯელი არანაირად არ შეესაბამება ჩადენილ დანაშაულს. თანდათანობით იკარგება იმედი, რომ სამართლიანობა აღდგება და ყველა დამნაშავე პასუხს აგებს. ჩვენს ორგანიზაციას ჰქონდა შესაძლებლობა ამ საკმარის მიმდინარე ისტორიების მქონე ადამიანებისათვის დახმარება აღმოეჩინა, რაღაც დროს მათთან ერთად ეგრძნო და გადაეტანა ეს ტკივილი. გვინდა თითოეულ მათგანს დიდი მადლობა მოვახსენოთ. ზეპირი ისტორიების ავტორთა ვინაობას შეგნებულად არ ვასახელებთ, რადგან არ გვსურს, რომ მათ და მათი ოჯახის წევრებს, ახლობლებს, დამატებითი ზიანი მივაყენოთ შოკისმომგვრელი წამების ფაქტების გამხელისა და გასაჯაროების.

ლელა ცისკარიშვილი
აღმასრულებელი დირექტორი

ედვინება ჩვენს კლიენტებს

(ისტორიაში ასახულია გლდანის მე-8 და მე-18, თბილისის პირველ დანესებულებებში გადატანილი წამებისა და არაჰუმანური მოპყრობის ფაქტები)

დავიბადე იმერეთში, ერთ პატარა რაიონში, საკმაოდ ჩვეულებრივ ოჯახში. მშობლები პედაგოგები იყვნენ უმაღლესი განათლებით და ყველაზე კარგი, რაც მომცეს, იყო განათლება, რომლითაც შემეძლო ჩემი თავის დამკვიდრება საზოგადოებაში. მათ ბავშვობიდანვე მიმაჩვიეს შრომას. ის შრომისმოყვარეობა, რაც მაქვს, არის ჩემი მშობლების და იმ გარემოს დამსახურება, რომელშიც მე ვიზრდებოდი. სკოლა ექსტერნად მაქვს დამთავრებული, ოქროს მედალზე. საკმაოდ დიდ მომავალს მიწინასწარმეტყველებდნენ, თხუთმეტი წლის უკვე უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი ვიყავი. თავის დროზე წიგნები მაქვს გამოცემული. ჩემი მშობლები მდიდრები არ იყვნენ, მაგრამ რაც ჰქონდათ, ყველანაირად ცდილობდნენ, ჩემი და ჩემი დის განათლებაში ჩაედოთ. ჩემი და ჩემზე რამდენიმე წლით უმცროსია, მაგრამ მე გავზარდე. როცა მშობლები მიდიოდნენ სამსახურში მას მე ვუვლიდი, რაც ძალიან ბედნიერად მახსენდება. ვამაყობ, რომ ასეთი კარგი და მყავს.

ჩემი სკოლის დამთავრება დაემთხვა ე.წ. „კუპონიზაციის“ პერიოდს. ალბათ, დედას და მამას ხელფასი ერთდროულად რომ ამელო და რუსულ ფულზე გადამეხურდავებინა, რაღაც ელემენტარული საჭიროების დასაკმაყოფილებლად თუ იქნებოდა საკმარისი. ამიტომ გადავწყვიტე, ჩამებარებინა ისეთ უმაღლეს სასწავლებელში, რომელსაც საერთო საცხოვრებელი და კვება ექნებოდა. ჩავაბარე ქალაქ ბათუმში. რამდენიმე წელი ვისწავლე და შევხედე, რომ ხარჯებს ვერ ვწვდებოდი. აღარ იყო თავს ზევით ძალა და გადავწყვიტე, წავსულიყავი

საზღვარგარეთ. თვრამეტი წლის ვიყავი, როცა ეს ნაბიჯი გადავდგი და წავედი საზღვარგარეთ სამუშაოდ. როცა ჩავედი იქ სულ სხვა რეალობას შევეჯახე. მეგონა როგორც რომანებშია აღწერილი ისე ჩავიდოდი „ბებერ ევროპაში“ და ახალ ცხოვრებას დავინწყებდი. იქ ჩასული ქართველების უმრავლესობა ძირითადად, არალეგალური საქმიანობით ირჩენდა თავს, რისი გამოცდილებაც, საბედნიეროდ, არ მქონდა და ვერც შევძლებდი. მასხენდება ერთი მომენტი, როცა ჰოლანდიაში ვცხოვრობდი: როტერდამამდე ველოსიპედით ჩავედი იმიტომ, რომ მატარებლის ფული არ მქონდა. როტერდამი უდიდესი საპორტო ქალაქია და ვფიქრობდი, რომ რაიმე სამსახური მომენახა, მაგრამ იქ სამუშაოს ძებნა ამაო იყო. თავიდან ერთი წელი იმის ფულიც კი არ მქონდა, რომ ჩემებისთვის დამერეკა და მეთქვა, რომ კარგად ვიყავი, ხანდახან თვეში ერთხელ ძლივს ვახერხებდი თბილისში ჩემ ახლობელთან დამერეკა სახლის ტელეფონზე და მეთქვა, რომ ცოცხალი ვიყავი და მას ეთქვა, რომ ჩემები ჯანმრთელად იყვნენ. შეიძლება ითქვას, საკმაოდ დიდი სტრესი განვიცადე ამისგან. ჩემი თავის რეალიზებას ვერ ვახდენდი, ოჯახს ვერ ვეხმარებოდი, მაგრამ ნელ-ნელა ადაპტაცია მოხდა. შევეგუე იმ სისტემას, მოვნახე სამსახურიც, შევძელი იმდენი, რომ ჩემი შრომით ნაშოვნ თანხას ვაგზავნიდი რეგულარულად. საკმაოდ კარგი განათლება მივალებინე ჩემ დას უნივერსიტეტში. მშობლებს ვეხმარებოდი, რომ თავი გაეტანათ. იმ ნათესავებს, რომლებმაც ღრმა ბავშვობიდან კარგი გავლენა მოახდინეს ჩემზე ვცდილობდი, დავეხმარებოდი. შემდეგ სამსახურიდან ავარიში მოვყევი და სიკვდილ-სიცოცხლის პირას ვიყავი. აღარავის ჰქონდა ჩემი გადარჩენის იმედი. 44-ე თუ 45-ე დღეს გავახილე რეანიმაციაში თვალი, მარცხენა ხელში მგრძობელობა არ მქონდა, საშინელი თავის ტკივილი და სისუსტე მანუხებდა.

რეანიმაციაში რომ ვინეტი გონებანართმეული, ისეთი შეგრძნება მქონდა თითქოს სადღაც ბნელ ოთახში ვიყავი, მეორე ოთახში დედაჩემი იმყოფებოდა და საჭმელს მიმზადებდა. ალბათ, დედისა და ოჯახის ძალიან ძლიერმა სიყვარულმა გადამარჩინა. რადგან ევროპაში სულ მარტო ვიყავი, გადავწყვიტე, რეაბილიტაციისთვის საქართველოში ჩამოვსულიყავი. ჰოლანდიაში თუ ვერ ვიმუშავებდი პენსიას არავინ დამინიშნავდა. როდესაც საქართველოში დავბრუნდი ე.წ. „ვარდების რევოლუცია“ ახალი მომხდარი იყო, ხალხი იმედით უყურებდა – ახალ-

გაზრდა მთავრობას. მეც ამ ფერხულში ჩავები. გამოცხადდა საჯარო სკოლის დირექტორების კონკურსი. მიუხედავად იმისა, რომ ერთი საათიც არ მქონდა საჯარო სკოლაში ნამუშევარი, პირობები იყო ასეთი – მხოლოდ უმაღლესი განათლება და სამუშაო სტაჟი უნდა გქონოდა. დირექტორის არჩევნებში მივიღე მონაწილეობა და მთელი რაიონი გაოცებული იყო იმით, რომ სამი თუ ოთხი თვის მეცადინეობის შედეგად, შევძელი ის, რომ მოქმედ სკოლის დირექტორებზე მაღალი ქულები ავიღე.

რამდენიმე ხანი საჯარო სკოლაში ვიმუშავე. ამ დროს 29 წლის ვიყავი და ოჯახის შექმნაზე, მემკვიდრესა და გვარის გამგრძელებელზე დავიწყე ფიქრი. რეაბილიტაცია გავლილი მქონდა. მართალია, მეორე ჯგუფის ინვალიდობა მომანიჭეს და პენსია დამინიშნეს, მაგრამ შემეძლო ინტელექტუალური სამუშაო შემესრულებინა და საჭიროების შემთხვევაშიც მცირე ფიზიკური დატვირთვაც განმეხორციელებინა. ამ პერიოდში გავიცანი ჩემი მომავალი მეუღლე. რამოდენიმე თვის ურთიერთობის შემდეგ დავოჯახდით. ქართველებს ძალიან კარგი სიტყვა გვაქვს – „მეორე ნახევარი“. ვაშლი რომ გაეჭრათ, ეს ორი ნახევარი იდენტური არ იქნება, მაგრამ ორივე ერთად, ერთი მთლიანობა გამოდის და შემეძლია ვთქვა, რომ ჩემი მეუღლე ზუსტად ის ნახევარია, რომელთან ერთადაც მე ერთი მთლიანობა ვარ.

ძალიან მოკლედ აღვნიშნავ, რომ ჩემი უცხოეთში ყოფნა გრძელდებოდა, დაახლოებით, შვიდი წელი. ამ ხნის მანძილზე, ყოველდღე მიწევდა გადარჩენისთვის ბრძოლა. იქ არც მეგობარი მყავდა, არც მეზობელი. იქ ვერ მიხვალ ვერავისთან და ეტყვი “ პურის ფული მასესხე და ხელფასს რომ ავიღებ გაგისტუმრებ“, ესეთი რაღაც იქ წარმოუდგენელი და გამორიცხულია. იქ ცხოვრებამ მასწავლა, რომ ადამიანმა როგორმე ფინანსური სტაბილურობა უნდა შეიქმნა და ამისათვის ყველაფერი უნდა გააკეთო. ყველაფერში კანონიერი გზით მიღწეულს ვგულისხმობ. ათასნაირი პროფესია მაქვს გამოცვლილი: ნამუშევარი ვარ სათბურში- მიწაზე, მარკეტში, მანქანების ყიდვა-გაყიდვაზე, ფერმაში, ოჯახში... მიმაჩნია, რომ არცერთი სახის სამუშაო, დაწყებული, მენაგვით დამთავრებული მინისტრით , არ ამცირებს ადამიანს. მთავარია, ადამიანს ჰქონდეს პიროვნული ღირსება, რომელსაც ვერ წაართმევს ვერანაირი სამუშაო.

გადავწყვიტე, წამოვსულიყავი თბილისში, რადგან აღარ მყოფნიდა საჯარო სკოლის ხელფასი. ვმუშაობდი სადისტრი-

ბუციო კომპანიაში, ჩემი კერძო მანქანით დავდიოდი დისტრიბუციასზე. ამასობაში პატარა გოგონაც შეგვეძინა. ეს თანხაც აღარ გვეყოფნიდა, ამიტომ დავინყე კერძო შეკვეთებზე სიარული. ვემსახურებოდი იმ კლიენტებსაც ვისაც ქალაქგარეთ გასვლა უნდოდა. ქალაქშიც, როცა ჩემს საქმეზე მივდიოდი, დავადებდი ტაქსის ტრაფარეტს და თუ ვინმე ხელს დამიქნევდა, ბენზინის ფული იქნებოდა თუ რა, ვმოულობდი.

ამასთანავე, აქტიური ვიყავი საზოგადოებრივადაც. ვხედავდი, რომ უსამართლობა იყო ქვეყანაში დაბუდებული. ეს ჩემში შინაგან პროტესტს იწვევდა და ამ პროტესტის გამოხატულებას ვეძებდი იმ ხალხთან ერთად, ვინც თავის პროტესტს აფიქსირებდა. არც ერთ პარტიას არ მივეკუთვნები, მაგრამ როცა საქართველოში საპროტესტო ტალღა წამოვიდა, ყოველთვის ვაკეთებდი ჩემი შესაძლებლობის მაქსიმუმს: ვმონაწილეობდი 2007 წლის და 2009 წლის აქციებში, ვარ 7 ნოემბრის დარბევის მსხვერპლი. შემდეგ იყო კარვების აქცია რუსთაველზე. კარვების აქციების დროს ვცდილობდი ყველანაირი დახმარება გამენია იქ მყოფი ხალხისთვის. 2007 წლის 7 ნოემბრის აქციების დროს, ჩემი სახლიც კი დამითმია რაიონიდან ჩამოსული ოპოზიციონერებისთვის, ღამეებს რომ ათევდნენ და არსად წასასვლელი არ ჰქონდათ. ამით ვფიქრობდი, რომ რაღაცას ქვეყნისთვის სასარგებლოს ვაკეთებდი.

გულწრფელად მჯეროდა იმის, რომ ჩემს ქვეყანას ვემსახურებოდი. ეს ჩემი აქტიურობა აქციებზე, თურმე შეუნიშნავი არ დარჩენია მაშინდელ კუდის, სოდის, თუ უშიშროების სამსახურებს და 2010 წელს მოახერხეს იმდენი, რომ მანქანაში ჩამიდეს ნარკოტიკი. ერთხელ, როცა ერთ-ერთი კლიენტია გადამყავდა ჩემი კერძო მანქანით, მან გადასვლისას ერთი ულუფა ნარკოტიკი ჩამიდო მანქანაში. კარებიც კი არ მქონდა მოხურული, რომ უშიშროების თანამშრომლებმა გადმომათრიეს მანქანიდან, წამიყვანეს და ცნობილი, ავადსახსენებელი 260-ე მუხლის მეორე ნაწილი მომიყენეს და საკმაოდ დიდი ხნით თავისუფლების აღკვეთა მომისაჯეს. რა თქმა უნდა, ამას არ ვაღიარებდი, სისხლის ანალიზმა ნარკოტიკის კვალი არ გამოაჩინა. მიმიყვანეს ძველი თბილისის ნომერ პირველ განყოფილებაში და გამხეცებულმა პოლიციელებმა სასტიკად მცემეს. მაიძულებდნენ მეღიარებინა, რომ ნარკოტიკი ჩემი იყო. იქიდან ნარკოლოგიურ კლინიკაში გადამიყვანეს, სადაც სისხლში ნარკოტიკის ვერა-

ვითარი კვალი ვერ აღმოაჩინეს და დასკვნაში ჩანერეს, რომ ვიზუალური დათვალიერებით ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედება მეტყობოდა. ექსპერტიზის დასკვნას კატეგორიულად არ დავეთანხმე. ამის გამო ისევ გადამიყვანეს პოლიციის განყოფილებაში და სასტიკად მცემეს. მირტყამდნენ ნიხლებით, ხელკეტებით, წყლით სავსე ბოთლებით. არასდროს დამავინყდება თუ რა უშვერი სიტყვებით მლანძღავდნენ, თითქოს სულში გაფურთხებენო. შემდეგ გადამიყვანეს გლდანის №8 დაწესებულებაში. სავარაუდოდ ასეთი წესი ჰქონდათ, რომ „გაუტეხავი“ პატიმრები, ვინც დანაშაულს არ აღიარებდა, იქ მიყავდათ „დასამუშავებლად“. აბსოლუტური ჯოჯოხეთი იყო. აი, რასაც ყვებიან, რასაც აჩვენებენ, თუნდაც ის ციხის ცნობილი კადრები, რაც გამოვიდა, ეს ყველაფერი ხდებოდა ჩემს თვალწინ, ეს ყოველდღიური სისხლის გუბეები, დღესაც კი მაგონდება ნანამები, გაუბედურებული პატიმრების – ბლავილი, ღრიალი, რაღაც არაადამიანური ხმები. მინდა ვთქვა, რომ ნებისმიერი ის ადამიანი, ვინც ეს ჯოჯოხეთი გამოიარა, რალაცნაირად, გმირია იმიტომ, რომ მან დიდი ტანჯვა განიცადა. გმირია თუ არა, წამებულია – წამებულია ფიზიკურად, წამებულია სულიერად. ერთია, როცა გცემენ, ამ ცემას აიტან – გაივლის ორი დღე და ფიზიკური ტკივილი მოგიშუშდება, მაგრამ იქ სულში გაფურთხებდნენ, აბსოლუტურად დეგრადირებული, სინდის და წამუს გარეცხილი და ფსიქოლოგიურად გადაგვარებული ადამიანები. ჩემი აზრით, ეს ის ხალხი იყო, რომლებსაც ბავშვობიდან აწუხებდათ არასრულფასოვნების კომპლექსი, რომლებიც ხვდებოდნენ, რომ ამ ცხოვრებაში არაფერს არ წარმოადგენდნენ იქ კი იჩენდნენ თავიანთ „ვაჟკაცობას“. აი, წარმოიდგინეთ ზურგზე ხელებშეკრული პატიმარი, რომელსაც გამეტებით სცემენ და აგინებენ ცოლს, მშობლებს, შვილს და თუ ამ პატიმარმა ერთი სიტყვა ამოიღო, სასტიკად უსწორდებოდნენ. მე მომსწრე ვარ იმისაც, რომ პატიმრის რელიგიურ გრძნობებსაც შეეხნენ. პატიმარს ხმას თუ ამოიღებდა ე.წ. „რასკრუტკაზე“ უშვებდნენ, პატიმრობის ვადას უმატებდნენ თანამშრომლის შეურაცხყოფისათვის. მიჭირს წამების ფაქტების თანმიმდევრობით დალაგება. მე პირადად, რასაც გავუძელი, დაგადავიტანე ჩემი ოჯახის წევრების დახმარებით. №8 დაწესებულებაში როცა ვიყავი, პატიმართან სამ კგ-ზე მეტი ხილი არ შეიძლებოდა შემოსულიყო, ამის გამო ჩემ მეუღლეს კვირაში ორჯერ–სამჯერ უწევდა

შემოსვლა, რომ ხილი საკმარისი რაოდენობით მოეწოდებინა. როცა დამიჭირეს ჩემი შვილი სამი თვის იყო. მხარდაჭერას ვგრძნობდი ინვალიდი მამისგან და მოხუცებული დედისგან, როცა ჩემი მეუღლე დაუთოვებულ ტანსაცმელს და ბავშვის სურათს შემომიგზავნიდა ეს ჩემთვის უდიდესი თანადგომის ტოლფასი იყო და უკვე ციხეში წამება მეორეხარისხოვანი ხდებოდა. ასეთივე თანადგომას ვგრძნობდი ჩემი მეგობრებისგან, რომლებიც, როგორც შეეძლოთ ისე ეხმარებოდნენ ჩემ ოჯახს. ვხვდებოდი, რომ მხოლოდ ამ ორფეხზე მოსიარულე ქვენარმავლებით არ იყო სავსე სამყარო და არც ისეთი ადამიანებით, რომლებმაც მე ნარკოტიკი ჩამიდეს და ოჯახი დამაკარგინეს. ვხვდებოდი, რომ ამ ქვეყანაზე სიკეთეც არსებობდა და მინდა კიდევ ერთხელ ხაზი გავუსვა, რომ პირველი არის ოჯახის წევრების მხარდაჭერა და მათი გვერდით დგომა. ადამიანი გაუტეხელი ხდება და ცხოვრებაზე ხელს არასოდეს ჩაიქნევს, როცა იცის, რომ გარეთ მასზე ვიღაცა ფიქრობს და მისი ტკივილი სხვისი ტკივილიც არის.

წამებას რაც შეეხება, ასეთი პრაქტიკა არსებობდა: ჯერ ერთი, ჩურჩულით უნდა გელაპარაკა საკანში იმიტომ, რომ ოდნავი ხმის აწევა და დამთავრებული იყო იქ ყველაფერი; რადიო უნდა გქონოდა ჩანწული იმ დონეზე, რომ ყურს თუ არ მიაღებდი, ვერ მოუსმენდი. ჩამოივლიდნენ (კორპუსზე მოდის ჯგუფი სალამოს შემოვლაზე), რომელ საკანშიც შედიოდნენ, ცოტა ხანში იქიდან ისმოდა საშინელი ტყაპა-ტყუპის, ბლავილის და ღრიალის ხმა. საკუთარ თავზე მაქვს პირადად გამოცდილი. კარების გაღებას უკვე შიშის კანკალით ველოდებოდი. გაიღებოდა საკანი, შემოდოდნენ, არ გეკითხებოდნენ არც რა დააშავე, არც არაფერს... წარმოიდგინეთ, იღება საკანის კარები, შემოდიან და იცი, უნდა გცემონ და რატო უნდა გცემონ ამას ვერ ხვდები. არც გეუბნებიან, რომ შენ რამე დააშავე, მოდის და გცემს. ერთხელ მეორე სართულზე წამონოლილი ვიყავი და ჩამეძინა, სალამო იქნებოდა. გაილო კარი. მე ღრმად მეძინა და არ გამეღვიძა. ასეთი წესი ჰქონდათ, ვინმე რომ შემოვიდოდა, იქნებოდა ეს უბრალო კონტროლიორი, თუ ციხის უფროსი, არ ჰქონდა ამას დიდი მნიშვნელობა, აუცილებლად ფეხზე უნდა წამომდგარიყავი და ზურგზე ხელები დაგეწყო, წინააღმდეგ შემთხვევაში სასტიკად გცემდნენ. ეგრევე მეცნენ ფეხებში და მეორე სართულიდან ბეტონის ია-

ტაკზე გადმომავდეს. თვალი რომ გავახილე, ფეხს მირტყამდა დაახლოებით სამი ან ოთხი ადამიანი. მცემეს იმის გამო, რომ ჩამეძინა და დროზე ვერ ავდექი. ვინც მე საწოლიდან გადმომავდო, იყო ერთ-ერთი მთავარი ჯალათი, რომელიც №18 ციხის სამკურნალო დაწესებულებაში სოციალური სამსახურის უფროსი იყო. სოციალური სამსახურის უფროსმაუნდა დაიცვას პატიმრის უფლებები, მაგრამ სინამდვილეში კი იგი პატიმრების უფლებების ყველაზე დიდი დამრღვევი იყო. პირადად მე მან სამჯერ მცემა.

გადამიყვანეს ციხის №18 სამკურნალო დაწესებულებაში, ე.წ. „რეზბალნიცაზე“, სადაც ჩემი სურვილით სამეურნეო ნაწილში ჩავირიცხე. იქ ჩარიცხვას დავთანხმდი ჩემი ნებით, რადგან ტერიტორიულად სახლთან ყველაზე ახლოს იყო და ჩემს მეუღლეს უფრო გაუადვილდებოდა ჩემთან ვიზიტებზე სიარული. ვიცოდი, სადაც არ უნდა გადავეყვანე, ის არ დაანებებდა თავს ჩემთან სიარულს. სამეურნეო ნაწილში დასაქმებულებს აღარ უშვებენ სხვა დაწესებულებაში და ოჯახს ზედმეტ ხარჯს აღარ დაგაკისრებდი, მით უმეტეს, რომ მაშინ მეუღლე უმუშევარი იყო. აბსოლუტურად ყველა უმუშევარი იყო და ალბათ, ღვთის წყალობა არის და კეთილი ადამიანების დამსახურება ის, რომ ცოცხლები დამხვდნენ ისინიც და ცოცხალი გამოვედი მეც გარეთ.

სამეურნეო ნაწილში გადასვლის შემდეგ უფრო საშინელ პირობები დამხვდა. მე თვითონ მინახავს საკნის ფანჯრიდან, როგორ გაუსვენებიათ შავი ყუთით პატიმარი. ჭორებია, თუ რაც არის, ამაზე აუცილებლად იტყვის გამოძიება თავის სიტყვას და საკმაოდ დიდი ეჭვი მაქვს იმის, რომ ხდებოდა ორგანოების უკანონო დონაცია. პატიმარი ბიჭებისგან მომისმენია, კიბოს მეოთხე სტადია რომ ჰქონიათ, ღმერთო, აქ ნუ მომკლავო მარტო იმიტომ, რომ „სომეხამ“ არ დამჩეხოს მორგშიო. ეს „სომეხა“ მორგში ჰყავდათ თანამშრომლად და ის, რაც ექსპერტს და ექიმს უნდა გაეკეთებინა, ის აკეთებდა. ეს იქნებოდა, გაკვეთა, ადამიანის ორგანოების ამოცლა თუ გვამის ამოვსება რალაც ბინძური ტილოებით, ნახერხით, ჯოხებით და კენჭებით, მერე გაკერვა და ასე გადაცემა ოჯახის წევრებისთვის... ეს მიცვალებულების შეურაცხყოფაა, რალაც საზიზღრობა.

მე, როგორც იმ რაიონის წარმომადგენელს, საიდანაც ჩვე-

ნი ამჟამინდელი პრემიერია¹, უდოთი გათავისუფლების და უკეთესი პირობების სანაცვლოდ შემომთავაზეს მიმეცა ცრუ ჩვენება მისი პარტიის წევრების წინააღმდეგ. თითქოს პარტიის აქტივისტები საარჩევნო ხმების სანაცვლოდ, ჩემი ოჯახის წევრებს ჰპირდებოდნენ ჩემი ციხიდან გათავისუფლებას. მე იმდენად დავალებული ვიყავი ამ ადამიანისგან, რომ ჯერ ერთი, ტყუილი რატომ უნდა მეთქვა, მერე მეორე, როცა სკოლაში ვმუშაობდი ხელფასს მიხდიდა, მამაჩემის ოპერაცია დააფინანსა, ჩემი ოპერაცია დააფინანსა, არა იმიტომ, რომ პირადად ვიცნობდი, ან ის მიცნობდა, ან რამეს წარმოვადგენდი, უბრალოდ, როგორც კეთილი ადამიანი გაჭირვებულ ოჯახს დაგვეხმარა. წარმოგიდგენიათ, ახლა მე რამხელა ტვირთი უნდა ამელო ჩემს თავზე, რომ ასეთ ადამიანზე რაღაც ცილისმწამება დამეწერა? როგორ უნდა მეცხოვრა საერთოდ, ჩემი შვილისთვის და ჩემი ახლობლებისთვის როგორ უნდა შემეხედა თვალეში?! ამიტომ კატეგორიული უარი განვაცხადე. უარის განცხადების შემდეგ, რეჟიმის და სოციალური სამსახურის უფროსებმა შემათრიეს მორგში, მიმაბეს გვამების გასაკვეთ მაგიდაზე და რაღაც სპეციალური მარწუხებით ფეხის თითები გადამიმტვრიეს, რომლიდანაც რამოდენიმე თითი დიდი წვალეებით მე თავად ჩავისვი, ხოლო ფეხის ორი თითი ამჟამადაც ისე ძლიერაა დეფორმირებული, რომ ფეხსაცმლის ჩაცმა და სიარული მიჭირს. ფეხის თითების მოტეხვის გარდა ხელკეტს მირტყამდნენ, სიტყვიერ შეურაცხყოფას მაყენებდნენ და როცა გონებას ვკარგავდი, ცივ წყალს მასხამდნენ გამოსაფხიზლებლად, შემდეგ ისევ აგრძელებდნენ წამებას. მაინც ყველაფერს გავუძელი.

გაზეთ „კვირის პალიტრაში“ ერთი პატარა ლექსი ამოვიკითხე:
 „როდესაც იმედს აზრი აღარ აქვს,
 და შენი გული ბოღმით ივსება,
 ერთადერთი რამ გადაგარჩენს,
 თქვი: ყველაფერი კარგად იქნება“.

ამოვჭერი ამ გაზეთიდან და სანოლის თავთან მქონდა გაკრული. მინდა ვთქვა, რომ ქრისტიანი ვარ, მაგრამ გარეთ როცა ვიყავი, იმდენ დროს ველარ ვუთმობდი ლოცვას, რასაც გულით ლოცვა ჰქვია. ციხეში, ალბათ, ღმერთის სიყვარულმა და ამ

1. იგულისხმება იმჟამინდელი ოპოზიციის ლიდერი, რომელიც შემდგომში პრემიერ მინისტრი გახდა (რედ.).

ლოცვამ გადამარჩინა. პატარა ლოცვანის წიგნი მქონდა, რომელშიც შვიდგზის ლოცვები ეწერა, ამას ვამბობდი. შეიძლება ვინმეს, ვისაც ასეთი ჯოჯოხეთი არ გამოუვლია, ეს სიტყვების თამაში ეგონოს, მაგრამ როდესაც მანამებდნენ, იმ ტკივილთან ერთად, გულში ვფიქრობდი – უფალო იესო ქრისტე, ღმერთო ჩემო შემიწყალე მე ცოდვილი მეთქი. ამას ვფიქრობდი გულში და ამან გადამატანინა.

ამის შემდეგ, როგორც ურჩი პატიმარი და მათი სურვილების არშემსრულებელი, ბრალი დამიმძიმეს და გადამაგზავნეს დახურული ტიპის დაწესებულებაში ე.წ. „ორთაჭალის კრიტში“. სხვებისგან მქონდა გაგონილი, რომ „ორთაჭალის კრიტში“ მისვლისთანავე პრესში უნდა გავეტარებინე და ფსიქოლოგიურად მზად ვიყავი ცემისთვის. ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ შეიძლება ასე განირო ადამიანი. მცემეს, დამასისხლიანეს, იატაკზე დამაგდეს. იქვე მდგარი პატარა მაგიდიდან გავეშებულები ფეხებით მახტებოდნენ ტანზე. დაახლოებით ხუთი-ექვსი დღე ლოგინიდან ვერ ვდგებოდი, უშვერი სიტყვებით აგინებდნენ ჩემი ოჯახის წევრებს.

შვილთან დაკავშირებით ერთი ისტორია მინდა გავიხსენო. მეუღლე როცა მოდიოდა ყოველკვირეულად, სურათები მოჰქონდა, როგორ იზრდებოდა პატარა გოგონა. ასეთი წესი იყო სამ ფოტოზე მეტის შემოტანა აკრძალული იყო. ამიტომ ჩემ მეუღლეს სამ-სამი ფოტო მოჰქონდა და მერე უკან ვატანდი. ერთ ფოტოზე ჩემი პატარა გოგონა სათამაშო დათუნიას ეხუტებოდა, თან იცინოდა. მის დანახვაზე ნებისმიერს გული სიხარულით გაუნათებოდა. ერთ დღესაც, რეჟიმის უფროსი საკანში შემოვიდა და იკითხა თუ ვისი შვილის ფოტო იყო. ვიფიქრე, პატარა ბავშვს შეხედავს, იქნებ გული მოუღბესთქო და ვუთხარი, რომ ჩემი შვილი იყო. ხოდა შეხედა, მერე შემოგვხედა და თქვა: “ერთი თხუთმეტ წელიწადში, მაგარი სახმარი იქნება“. ამის გაგონებაზე თვალთ დამიბნელდა. წარმოვიდგენიათ ამას ეუბნებიან მამას ერთადერთ შვილზე, რომლის ნახვაც ნატვრად აქვს ქცეული. გავინიე მისკენ. ხელს ვინ დამარტყმევინებდა იქ, მაგრამ ბუნებრივი რეაქცია იყო. ამაზე მცემეს?! ვერ აღვწერ, თუ როგორ მცემეს. აბსოლუტურად ყველა თანამშრომელი ცდილობდა, ამ უფროსის დასანახად უფრო მაგრად, უფრო მტკივნეულად დაერთყა, რომ მერე მისგან შექება დაემსახურებინა.

„კრიტიკა“ რომ მიმიყვანეს, მცემდნენ. მცემდა თავად ციხის დირექტორიც, რომელიც მანამდე არასამთავრობო ორგანიზაციაში მუშაობდა და უფლებადამცველი იყო. მე შემსწრე ვარ ისეთი სიტუაციის, რომ ახალი თანამშრომელი ერთი, მაქსიმუმ ორი კვირა, იქცეოდა როგორც ადამიანი. ორი კვირის შემდეგ უკვე ადამიანის სახეს მთლიანად კარგავდა. იგივე, მაგალითად, ერთ-ერთი ცნობილი უფლებადამცველი არასამთავრობო ორგანიზაციიდან, რომელმაც შემდგომ ციხეში დაიწყო მუშაობა გადაიქცა ერთ-ერთ უპირველეს ჯალათად, რომლისთვისაც ადამიანის ღირსება არაფერს წარმოადგენდა. მისი მოადგილე და კიდევ რამდენიმე პირი იატაკზე დაგდებულს, სისხლის გუბეში მცურავს მაგიდიდან მახტებოდნენ, წიხლებით მირტყამდნენ, ზედ მაფურთხებდნენ და კიდევ სხვა საზიზღრობებს აკეთებდნენ.

უნდოდათ, რომ პატიმარს ადამიანობა საერთოდ დაეკარგა და ციხიდან ცხოველი გამოსულიყო. ეს უეჭველად სახელმწიფოს პირველი პირებისგან იყო დავალებული, რომ ადამიანისგან ჩამოეყალიბებინათ ცხოველი, რომელიც იფიქრებდა მართო ჭამაზე და იმაზე რომ არ ეცემათ, როგორც პირუტყვი; პირუტყვს უნდა აჭამო და ცემის შიში უნდა ჰქონდეს.

რაც შეეხება საჭმელს, საჭმელი საჭმელს არ ჰგავდა საერთოდ, აავადმყოფებდა ადამიანს. წარმოგიდგენიათ, მოხარშული კარტოფილი ე.წ. „კომბიჟირთან“ ერთად რაღაც საზიზღარი წვენი. ვიღებდი იმიტომ, რომ მშიერი არ მოვმკვდარიყავი. შევიტანდი ტუალეტში და წყლით ვრეცხავდი ამ კარტოფილებს, რომ ეს ცხიმი მოსცილებოდა და ისე მეჭამა. არ არსებობდა იქ არც ქურა, არც არაფერი, რომ საჭმელი მოგემზადებინა. ციხის მაღაზიაში ორმაგ, სამმაგ ფასებად იყიდებოდა პროდუქტი. ეს კიდევ ცალკე ბიზნესი ჰქონდათ. ადამიანს იჭერ და მერე კიდევ მისმა ოჯახმა უნდა უგზავნოს ფული და პატიმარმა ორმაგ, სამმაგ ფასად იყიდოს მაღაზიებიდან.

რვა ადგილიან საკანში ვიყავით 21 პატიმარი, სადაც, დანოლაზე აღარ არის ლაპარაკი, იმის ადგილიც კი არ იყო, რომ გაგველო. ოთახშივე გვექონდა ტუალეტი ფარდით გამოყოფილი, იქვე იყო ონკანი და პატარა რეზინის მილი წყლის გადასაგდებად. აუტანელი სიბინძურე, ანტისანიტარია... წარმოგიდგენიათ, 21 ადამიანი, დაბანა არ ხდება, ღამით ტუალეტში გასვლა რომ გდომებოდა, იატაკზე მწოლიარე დაახლოებით, შვიდი რვა

ადამიანისთვის უნდა გადაგებიჯებინა. იატაკზეც მორიგეობით ვინეკით.

სასჯელალსრულების სამინისტრო იყო საზოგადოების სამართავი ერთ-ერთი ნაციონალური მანქანა: ერთი ის, რომ უდანაშაულოდ დამაკავეს; ის, რომ ყოველდღე უმიზეზოდ მცემდნენ; სასჯელს ვიხდიდი ისეთ პირობებში, როგორშიც ალბათ ფაშისტების დროს კონცლაგერებში არ იხდიდნენ. ყოველ საღამოს უნდა შესწირო ღმერთს მადლობა, რომ იმ დღეს ცოცხალი გადარჩი. ყველაზე მთავარი, რაც მე ჩემს თავს შევატყვე და რაზეც ყველაზე მეტს ვნერვიულობდი ის იყო, რომ მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება ვიცხოვრე ისე და იმ აზრით, რომ გაჭირვებულს ყოველთვის გამოვსარჩლებოდი. ეს გრძნობა თითქმის ჩაკლეს ჩემში – „სხვისი ჭირი ღობეს ჩხირი.“ ვინმეს რომ გამოვსარჩლებოდი მათზე უარეს მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდი. ხედავ, რომ ადამიანს უსამართლოდ ჩაგრავენ, რომ უსამართლოდ ურტყამენ... ამას ყველაფერს ხედავ, თავს აჩვენებ, ვითომ ვერაფერს ხედავ... ეს იყო საშინელება, ჩემში, როგორც ადამიანში ყველაფერს ანგრევდა და კლავდა. ეს რომ რამოდენიმე წელიწადი გაგრძელებულიყო, არ ვიცი იქედან როგორი გამოვიდოდი. მე ისეთი გაბოროტებული ადამიანებიც მინახავს, რომლებიც ციხიდან ოჯახის წევრებთან ზედმეტად დარეკვის გამო, თავის ბავშვობის მეგობარს სწირავდნენ, ასმენდნენ და სასჯელს ამატებინებდნენ, რომ ციხის ადმინისტრაციის თვალში რალაც პრივილეგიებით ესარგებლათ. ეს იყო ყოველდღიური ფსიქოლოგიური ზეწოლა. ძალიან ბევრ შემთხვევაში შეძლეს, რომ ადამიანისგან მართლა ცხოველი გამოეყვანათ, ადამიანს ადამიანის მიმართ ზიზღი გასჩენოდა და არავითარი ნდობა აღარ ჰქონოდა. ამ სამი წლის განმავლობაში, როცა ლოცვას ვკითხულობდი ყოველთვის ამას ვეხვეწებოდი ღმერთს: ღმერთო, ოჯახის, მოყვასისა და იმ ადამიანების, ვინც მიყვარდა და პატივს ვცემდი, სიყვარული არ დამეკარგა.

ტელევიზიით ნაჩვენებ კადრებში იყო ციხის ცხოვრების ერთი ჩვეულებრივი დღე. მე კი ასეთი სამჯერ სამასსამოცდახუთი დღე მაქვს გავლილი. ამ დღეების განმავლობაში, ვუყურებდი, როგორ აუპატიურებდნენ, როგორ სცემდნენ და მე ხმის ამოღება არ შემიძლო. ე.წ. „ფუქსში“ რამდენჯერ ვყავარ ჩაყვანილი... „ფუქსი“ ეს არის დაახლოებით ერთი კვადრატული მეტრის გალია, „აბეზიანკას“ ეძახიან, სადაც არც დაწოლა

შეგიძლია, ვერც დაჯდები იმიტომ, რომ სკამი არ არის, ბეტონის იატაკი და რკინის გისოსებია. ნატრულობ, ისეთი ძილი მოგერიოს, რომ გაითიშო და ორგანიზმმა ცოტა ხანი დაისვენოს. ხუთი წუთი ამ ბეტონის იატაკზე თვალებს მილულავ, ცოტა ხანი ორგანიზმი აღიდგენს ძალებს, მერე ისევ ფეხზე დგახარ. მე პირადად, სამი დღე და ღამე ვარ ნამყოფი ასე – არა საჭმელი, წყალზე ხვენნა გინევდა. ვერ გადიოდი ტულელეტი. იქვე უნდა მოგესაქმებინა და იმ სიბინძურესთან ერთად უნდა ყოფილიყავი ორი-სამი დღე. პატიმრებს ვიცნობდი, რომლებიც ორი კვირა და ერთი თვეც კი ყოფილან ესე. სადღაც მაქვს წაკითხული „ესეც გაივლის“, ხშირად ვიმეორებდი ხოლმე ამ სიტყვებს – „ესეც გაივლის, ესეც გაივლის, ყველაფერი კარგად იქნება“.

პატიმარს კბილი რომ ასტკვივდებოდა კბილის ექიმი მხოლოდ ხუთშაბათს მოდიოდა და მომდევნო ხუთშაბათამდე უნდა გეცადა. მკურნალობაზე ლაპარაკი ზედმეტია, პირდაპირ ამოგიღებდა კბილს. „კრიტი“ ჰქონდათ ასეთი პრაქტიკა, დავუშვათ, ადამიანი ახალი მოსულია და სთხოვა გამაყუჩებელი კონტროლიორს, მისცა ვადაგასული ანალგინი და არ გაუყუჩა. ეკითხება, ბარალგინი გინდა თუ კეტანოვი? ეს ახალი მოსულია და არ იცის. კეტანოლს აირჩევს, რომ უფრო უკეთესია. კარგი, გამოდი ახლავ და ორი დუბინკა ჰქონდათ – ერთზე ეწერა ბარალგინი, მეორეზე კეტანოვი. კეტანოვი ცოტა უფრო მოზრდილი იყო. „გაახურებდნენ“ ამით და შემოაგდებდნენ. ამის მერე წამალი როგორ უნდა ეთხოვა ადამიანს?!

შეიძლება ბრმა ნაწლავის გამო 21-ე საუკუნეში ადამიანი დაიღუპოს? ერთ-ერთ პატიმარს არ გაუკეთეს ოპერაცია, განუვითარდა სეფსისი და დაიღუპა. ასეთი ა ფაქტები „რეზბალნიცაზე“ ყოფნის დროს უამრავი ვნახე. გენოციდის ფორმა ჰქონდა ამ ყველაფერს, ახალგაზრდა ბიჭებს, როდესაც ურტყამდნენ ცდილობდნენ, ისეთ ადგილებში დაერტყათ, რომ კაცობა დაეკარგვინებინათ, ანუ სათესლე ჯირკვლები დაეზიანებინათ... შემდეგ ოპერაციას უკეთებდნენ და თუ ერთი ჰქონდათ ამოსაკვეთი, ორივეს უღებდნენ.

მე თვითონ მაქვს ნანახი 18 წლის ბავშვს ჩაუდეს ნარკოტიკი, დანამდვილებით ვიცი რომ ჩაუდეს, წესიერი ბავშვი იყო. რომ არ აღიარა, ცემის დროს მუხლი იმ დონეზე დაუმსხვრიეს, რომ განგრენა განუვითარდა და ბარძაყში მოაჭრეს. შემდეგ

პროცესი გაუმწვავდა და განგრენით დაილუპა 18 წლის ანგელოზივით ბავშვი.

იმის მოლოდინი, რომ გავიდოდი და ჩემს ოჯახს ვნახავდი და ჩემს პატარას ჩავეხუტებოდი, საოცარ ძალას მძლევდა. ძალიან ბევრჯერ მიფიქრია, რომ ამათ ხელში ამ სასჯელის ვადას ბოლომდე მაინც ვერ გავატანდი და ჯობდა, რომ ოჯახის წევრები მომესვენებინა და ჩემით მომესწრაფა სიცოცხლე, მაგრამ მერე დაფვიქრებულვარ, რომ ესეც გაივლის, ესეც წარსულს ჩაბარდება და ვიბრძოდი, ჩემს თავს ვებრძოდი. ეს ყველაფერი გადამატანილა დიდმა ადამიანურმა სიყვარულმა.

ციხიდან გამოსვლის შემდგომ რალაც სტიგმა მადევს. არ ვამბობ, რომ საზოგადოების მხრიდან, რადგან საზოგადოების ნაწილმა კარგად იცის საქართველოში ის რასაც სასჯელალსრულების სისტემა ჰქვია. მაგრამ ელემენტარულს გეტყვით, მე დღესდღეობით არ შემიძლია არც საჯარო სამსახურში მუშაობა, არც ის, რომ კერძო პრაქტიკა მქონდეს და მოსწავლეები მოვამზადო – ექვს ენაზე ვლაპარაკობ და აქედან ოთხს შესანიშნავად ვფლობ ისე, როგორც მშობლიურს, მაგრამ კანონით მაქვს აკრძალული. არ შემიძლია მანქანა ვმართო ან ტაქსისტად ვიმუშავო. სახელმწიფო კი რას მთავაზობს დღესდღეობით?!

დღეს, როცა გამოსული ვარ და არანაირი მუშაობის უფლება არ მაქვს, ვცდილობ შავ მუშად ვიმუშაო, რომ სახლში მივიტანო ორი ლუკმა. ჩემი ოჯახის შემოსავლის წყარო ჩემი და მამაჩემის პენსიაა.

ამინისტიზაზე ლაპარაკი რომ დაიწყო, პატარა ქალაქებზე დაწერილი წერილი მივიღე იუსტიციის მინისტრისგან – „ძვირფასო მეგობარო თქვენ უკვე ძალიან ახლოს ხართ გათავისუფლებასთან; ჩვენ ყველანაირად გვერდში დაგიდგებით სამართლიანობის აღსადგენად; დასაქმებაში; რალაც უნარების შექმნაში; ჩათვალეთ, რომ თქვენს გვერდში სახელმწიფო დგას და არ გადიხართ ისეთ ადგილზე, სადაც ადამიანები შემოგხედავენ, რომ აი ეს ცუდი ადამიანია, რადგან ციხეში იჯდა. მოგცემთ შანსს, რომ ცხოვრება დაიწყოთ სუფთა ფურცლიდან და შექმნათ რალაც“,- არასდროს დამავანწყდება ის შეგრძნება, როცა ამ ფურცელს ვკითხულობდი, რადგან იმ სამი წლის განავლობაში ერთადერთხელ ვიგრძენი თავი ადამიანად. გამოვედი იქედან, მივედი იუსტიციის სამინისტროში დანაშაულის პრევენციის ცენტრში, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო მათ დახმა-

რებისთვის, თუნდაც იმისთვის, რომ თქვენამდე მომიყვანეს. აქ სამედიცინო გამოკვლევები, ფსიქოლოგიური კონსულტირება ჩამიტარდა საკმაოდ კვალიფიციური ადამიანების მიერ. ვხვდები, რომ მართო არ ვარ ამ ცხოვრებაში დარჩენილი. მართალია, ნაბიჯ-ნაბიჯ, მართალია, კუს ნაბიჯებით, მაგრამ ეს სამართლიანობა აღდგება.

ქართველებს ერთი დიდი სიბრძნე აქვთ – „სამართალი ურმით დადისო, მაგრამ ყველას კართან მიდისო“; ერთი ლათინური გამოთქმაა – „აღსრულდეს სამართლიანობა, თუგინდ დაინგრეს სამყარო“. აუცილებელია ეს, არ შეიძლება დღეს ამ რეჟიმის და სისტემის ერთ-ერთ შემქმნელს მოიხსენიებდნენ, როგორც ცოტნე დადიანს.

20

ეს წიგნი რომ გამოვა, სამაგიდო წიგნი უნდა გახდეს თითოეული პოლიციელისა და სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლისთვის. ერთხელ მაინც უნდა წაკითხონ, რომ ასეთი რალაცა აღარ მოხდეს.

მკითხველს მინდა ვუთხრა: იყავი მტკიცე, არ დაკარგო ვაჟკაცობა, თუნდაც უმეცართა სამსჯავრო სიკვდილით დაგემუქროს. აუცილებლად უნდა იყო მტკიცე, გჯეროდეს მომავლის, გჯეროდეს რომ სიმართლე იზეიმებს. არ უნდა დაკარგო ადამიანობა, ვაჟკაცობა, ქართველობა რასაც ქვია, რასაც ჩვენი ტრადიციები გვასწავლის.

ამდენი ზენოლა, სისტიკე და ტკივილი იყო, ყველანაირად ეცადნენ, რომ ჩემში ადამიანი გადაგვარებულიყო - „ეცადნენ და ვერ გამხადეს ბოროტი, ეცადნენ და ვერ გამხადეს ფლიდი... ნუთისოფელს კაცად შერჩე ბოლომდე, თურმე ესეც გმირობაა დიდი“.

(ისტორიაში ასახულია თბილისის №5, რუსთავის №16, ქსნის №19 გლდანის №18, დაწესებულებებში გადატანილი წამებისა და არაჰუმანური მოპყრობის ფაქტები)

დავინწყებ მოყოლას იმით, რომ 2007 წელს დამაკავებს ნარკოტიკის მოხმარებისთვის. მანამდე, თითქოს, ყველაფერი წესიერად მიდიოდა, ნორმალური ცხოვრება მქონდა. მოხდა ისე, რომ მეგობარმა ასე ვთქვათ, „ჩამიშვა“. მომისაჯეს ექვსი წელი და მოვხვდი ორთაჭალის ე.წ. „გუბერსკის“ ციხეში, საშინელ პირობებში. ას პატიმრამდე ვიმყოფებოდი პატარა საკანში. ელემენტარულად, საპირფარეშოში მისვლას ხუთი წუთი სჭირდებოდა – გამატარე, გამატარეს, ძახილით... ძილის პრობლემები, ბალნინჯოები, ტარაკნები, ტილები... ოთხ-ოთხი საათი გვეძინა, ხან როგორ, ხან როგორ... ზოგს სკამებზე ე.წ. „ჩუმკებზე“ ეძინა. სამი თვის შემდეგ გადამიყვანეს რუსთავის №1 საპყრობილეში. ოთხი წლის მანძილზე, ხან რომელ საპატიმროში ვიმყოფებოდი ხან რომელში. 2011 წელს შეწყალებით გამანთავისუფლეს.

დაკავებამდე ათი წლის განმავლობაში სამორინეში ვმუშაობდი, ჯერ მომმარაგებლად, შემდეგ კი დირექტორად. სამწუხაროდ, კაზინო დაიხურა და დავრჩი უმუშევარი. აღნიშნული კაზინო ოჯახური ბიზნესივით იყო, ყველა მანდ ვმუშაობდით. გათავისუფლების შემდეგ გარეთ უამრავი პრობლემა დამხვდა: სოციალური, ხალხისგან სიცივე, თითქოს გარიყულად ვგრძნობდი თავს და ისევ იგივე სიტუაციაში ჩავვარდი... ისევ ნაკოტიკი, ისევ მეგობარმა, უახლოესმა მეგობარმა... ორი თვეც არ გასულა, დამაკავეს და გადამიყვანეს გლდანის №8 დაწესებულებაში, რის შემდეგაც არ ვიცი რა დამემართა, შოკი იყო, თუ რა იყო, მე ასეთი წამება არსად მენახა მანამდე... ეს

ე.წ. „კარანტინის დაშლა“, ადამიანების არაადამიანური ხმით ყვირილი. თუ თანამშრომლობაზე ხელს არ მოაწერდნენ, სასტიკად ექცეოდნენ საკანში. წრესავით ჰქონდათ გაკეთებული ეს „კარანტინი“ და ყველას იქ უნდა გაევიღო. ყველას სცემდნენ, განსაკუთრებით მკვლელობის და ყაჩაღობის მუხლებით გასამართლებულებს.

კარანტინის გავლის შემდგომ, საკანში აგვიყვანეს, იქაურმა ოფიცერმა გაგვაფრთხილა, რომ ხმის ამოდებაც კი არ შეიძლებოდა, ანუ ჩურჩულიც გვეკრძალებოდა. პატარა ხმაურზეც შემოდოდნენ, ე.წ. „პალაჟენია“ მოჰყავდათ და ცემით და დაშინებებით „აგდებდნენ“ ხალხს ე.წ. „შპონკის“ ქვემოთ. უამრავი დასჯის მეთოდი ჰქონდათ: მუხლებზე დაყენება, საპნის ნაჭრების იძულებით გადაყლაპვა, სპეციალურად ხერხემალში დარტყმა. ეს ყველაფერი ალბათ იმისთვის ხდებოდა, რომ დაეინვალიდებინათ ეს ხალხი. ფსიქოლოგიური ზენოლა იყო უმაღლეს დონეზე, არ ვიცი, მე პირადად, ადამიანად არ ვთვლიდი იქ თავს, არაფერი არ ვიყავი და ვერც მომავალში ვხედავდი პერსპექტივას.

თითქმის ყველა იყო ცემაში ჩართული, ხელის დარტყმის უფლება არ ჰქონდა მხოლოდ კონტროლიორს. კონტროლიორი უშუალოდ ალებს და კეტავს საკნის კარს. ჰაერზე გასვლის უფლება არ გვექონდა. გასასეირნებლად გასვლას თუ მოვითხოვდით, ისე გვაგინებდნენ და გვიყვიროდნენ, რომ მეორედ ნამდვილად აღარ სთხოვდი. კვება საშინელი... მე საერთოდ მიჭირს ამის გახსენება... ახლაც, რომ მახსენდება... დიდი ფსიქოლოგიური სტრესი მივიღე მეორე პატიმრობისას გლდანის ციხეში... იმიტომ, რომ პირველ შემთხვევაში, არ მქონია ეგეთი ზენოლა და ფსიქოლოგიური ტრავმა, არც ფიზიკური და არც ფსიქოლოგიური... არ ვიცი, ეხლაც რომ მახსენდება...

ყოველდღიური სტრესი იყო! ყოველ დღე საშინელების მოლოდინში ვიყავით. ხანდახან ცემა გვერჩინა მათ მიერ მოყენებულ სიტყვიერ შეურაცხყოფას. გვაგინებდნენ, გვამცირებდნენ. იყო ერთი ასეთი სასჯელიც – დაგაყენებდნენ შუა საკანში და ხუთი-ექვსი საათის განმავლობაში, ჩუმად უნდა მდგარიყავი, არ განძრეულიყავი. ამას, რა თქმა უნდა, ცემა გვერჩინა. კარცერში ე.წ. სამარტოო საკანში ჩამიყვანეს, არაფრისთვის, რაღაც პატარა ხმაურზე. ათი დღე იქ ვიმყოფებოდი, დღე გამომშვებით მაძლევდნენ ლეიბს, არც ბალიში, არც საბანი არ

მქონდა, მხოლოდ ერთი თეფში და ერთი ჭიქა, არც კოვზი არც ჩანგალი იყო, არ ვიცი, როგორ ძლებს იქ ხალხი საერთოდ...

ადმინისტრაციასთან თანამშრომლობაზე უარის შემთხვევაში მიმართავდნენ ასეთ მეთოდს – ყოველ კვირას საკარანტინო შემონმებაზე შემოდოდნენ საკნებში, ყველაფერს აყირავებდნენ, გაჰყავდათ პატიმრები კამერებიდან და ფიზიკურად უსწორდებოდნენ.

მარჯვენა თვალზე ფიზიკური ტრავმა გადავიტანე ცემისგან. კატარაქტა გამიჩნდა, შემდეგ ჩამოყალიბდა გლაუკომა და მხედველობა დავკარგე მარჯვენა თვალზე.

შიშები და ჰალუცინაციები დამეწყო, სრული უიმედობის შეგრძნება მქონდა, საკუთარ თავს ადამიანად აღარ ვთვლიდი. უძილობა მანუხებდა, ხოლო ძილში კომმარული სიზმრები მესიზმრებოდა. თვითმკვლელობის მცდელობებიც მქონდა. ვთხოვე ექიმი გამოეძახათ. ალბათ ამიტომაც მომიყვანეს. მართალია, დიდი თხოვნის შემდეგ მაგრამ როგორც იქნა, მოვიდა და მნახა ფსიქიატრმა. რალაც წამლები დამინიშნა. ამ წამლებს იშვიათად უნიშნავდნენ პატიმარს. რვა თვის განმავლობაში ვსვამდი და მდგომარეობა ცოტა გაუმჯობესდა, მაგრამ ზენოლა ისევ გრძელდებოდა. პირადად მე თუ არ მეხებოდნენ, კამერაში ჩემს თვალწინ მეგობარს რომ სცემდნენ, ესც ჩემთვის წამების ტოლფასი იყო. პრინციპში, სიტუაცია ყველასთვის ერთი და იგივე იყო.

აი, უკვე მეოთხე თვეა რაც გამათავისუფლეს, მაგრამ დღესაც თავს საშინლად ვგრძნობ, ფსიქოლოგიურად განადგურებული ვარ, თავს ვერ ვერევი, გადატანილი მძიმე სტრესის გამო ნერვული სისტემა შემერყა.

უძილობა ისევ მანუხებს. მედიკამენტებს ვლებულობ, თითქოს მდგომარეობამ ცოტა გამოსწორება დაიწყო. ამას თან ერთვის ოჯახის მძიმე სოციალური მდგომარეობა, უმუშევრობა, ადამიანებთან ურთიერთობის დეფიციტი. უამრავი რამის შიში დამჩემდა, მაგალითად, ქუჩაში თუ დავინახავ ფორმიან ადამიანს, მეშინია არ დამაკავოს და მცემოს. სახლში კარზე კაკუნის ან უცნობი მამაკაცის ხმის გაგონებაზე ცუდის მოლოდინი მაქვს.

ნელინდნახევარი ვიყავი გლდანში და თვენახევარი ე.წ. „რეზბალნიცაზე“. „რეზბალნიციდან“ უკვე ამნისტიით გამოვდი. ბოლოს, არჩევნების შემდეგ, მოდუნდა სიტუაცია და ცოტა

ამოვისუნთქეთ, მაგრამ ეს ტრავმა იმ დონეზე ძლიერი იყო და ისე დამაზიანა, რომ მაინც მიჭირდა და პატიმრებთანაც ველარ მქონდა ისეთი ურთიერთობა.

ბევრი პატიმარი საპატიმროში ლოცვას იწყებს და რელიგიური ხდება. ეს ცემის გარეშეც ხდებოდა. როცა გიჭირს სანუგეშებლად რელიგიას მიმართავ. ცემა და წამება, ეს უკვე ზღვარს გადასული ქმედებაა.

რომ გამოვედი, პირველი ორი თვე ძალიან ცუდად ვიყავი, არაადექვატურად ვიქცეოდი – ხან რას ვეჯახებოდი, ხან რას. ხელიდან ყველაფერი მივარდებოდა, კონცენტრაცია დაკარგული მქონდა. თვითმკვლელობაზე ფიქრი ნაკლებად, მაგრამ პერიოდულად ისევ მაქვს. ვმკურნალობ და ცოტა უკეთესად ვგრძნობ თავს, ალბათ წამლებიც მშველის.

24

ერთმანეთის დაბეზლების ინსტიტუტი იყო ამოქმედებული. სხვათა შორის ციხის თანამშრომლებს შორისაც იგივე პროცესი მიმდინარეობდა. მსგავსი ისტორიები ხშირად გვესმოდა. ალბათ, ერის დაშინება, ადამიანის გაჩანაგება უნდოდათ. ასეთი სისტემა ჩამოაყალიბეს. მე ვთვლი, რომ ადამიანის საპატიმროში ყოფნა უკვე დასჯაა. დამატებით ადამიანის წამება კანონით აკრძალულია. წამება ფიზიკურად და ფსიქიკურად გაზიანებს, შიშს გიჩენს და ადამიანობას გაკარგვინებს.

ძალიან მინდა ეს წიგნი გამოიცეს, რათა მომავალმა თაობებმა წაიკითხოს და აღარ გაიმეოროს ის რაც წინა მთავრობის რეჟიმმა დანერგა. სწორედ ამიტომ არავინ არ უნდა გაჩერდეს, ხმა ამოიღოს ყველამ ვისაც ქონება წაართვეს, ფიზიკურად და ფსიქიკურად დააზიანეს. ყველა დამნაშავე უნდა დაისაჯოს, შემსრულებელიც და დამკვეთიც.

(ისტორიაში ასახულია გლდანის №8 დაწესებულებაში გადატანილი წამებისა და არაჰუმანური მოპყრობის ფაქტები)

დავიბადე 1969 წლის 28 ივლისს ქ. თბილისში. ოჯახში ვიყავით დედა, მამა, მე და ჩემი და. სკოლაში ფრიადოსანი არ ვიყავი, მაგრამ როგორც მასწავლებლები აღნიშნავდნენ ძალიან ნიჭიერი ვიყავი. სკოლის პერიოდში და სკოლის შემდგომაც აქტიურად ვიყავი ჩართული სპორტულ აქტივობებში. შემდეგ ჩავაბარე უმაღლესში, ქალაქ მოსკოვში – „საბჭოთა კავშირის კვების მრეწველობის ინსტიტუტში“. მოსკოვში გატარებული სტუდენტობის წლები ძალიან კარგად მახსოვს. ბავშვობაც საკმაოდ ლალი მქონდა. ფაქტიურად არ მაკლდა არაფერი, არაფრის დეფიციტი არ მქონია, არც სადმე წასვლის ან დასვენების.

ძალიან მიყვარდა ნადირობა და თევზაობა, ახლაც მიყვარს. ჩემმა მშობლებმა შემეყვანეს „პიონერთა სასახლეში“. იქ იყო ასეთი კლუბი – „მხარეთმცოდნეობა და ალპინიზმი“. ძალიან მადლობელი ვარ იმ კლუბის, რადგან ფაქტიურად ამ კლუბის დამსახურებაა, რომ შემოვიარე და შევისწავლე მთელი საბჭოთა კავშირი, ყველა კუთხე კუნჭული. შემდეგ, აფხაზეთის ომში მივიღე უშუალო მონაწილეობა და ომი რომ დამთავრდა, კიდევ გავაგრძელე პარტიზნობა გალის რაიონში.

დავოჯახდი 20 წლის ასაკში და 21 წლისას უკვე მყავდა შვილი. 8 წლის შემდეგ ჩვენი ოჯახური იდილია დასრულდა. ჩემი მეუღლე მას შემდეგ ცხოვრობს მოსკოვში და ფაქტიურად, ჩემი შვილი მე და დედაჩემმა გავზარდეთ. მე ამაში ნეგატიურს ვერაფერს ვხედავ, პირიქით... ჩემსა და ჩემს შვილს შორის ჩამოყალიბდა ძალიან კარგი ურთიერთობა. ძალიან მეგობრულები ვართ, მაგრამ ეს მეგობრობა ფამილარობაში არ გადადის.

საკმაოდ წარმატებული ბიზნესმენი ვიყავი. კერძოდ, ტვირთების გადაზიდვა კომპანია მქონდა :ლოგისტიკა, გადაზიდვა, საბროკერო მომსახურება და ა.შ.

ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, ჩამოყალიბდა ასეთი სტრუქტურა— საფინანსო პოლიცია, რომლისგანაც თავდაპირველად ვიღებდი მადლობებს იმასთან დაკავშირებით, რომ მე, ფაქტიურად ცივილიზებული სახე მივეცი ამ ბიზნესს. ხოლო, შემდეგ იგივე საფინანსო პოლიციაში უკვე სხვანაირად დაინტერესდნენ ჩემით. გადაწყვიტეს წართმევა და განახორციელეს კიდეც. რალაც პერიოდის განმავლობაში, დრო გამოშვებით მაჯარიმებდნენ. მომიწია ჩემი ბინის გაყიდვა იმიტომ, რომ სხვაგვარად ვერ გადავიხდიდი თანხას. დავრჩი ღია ცის ქვეშ, სამსახურის და შემოსავლის წყაროს გარეშე.

26

ამ პერიოდში შეიქმნა გაერთიანებული ოპოზიციური დაჯგუფება, სადაც მეორე დღესვე გაწვევრიანდი. გარკვეული პერიოდის შემდეგ, ლიდერებმა შემოგვთავაზეს, მე და რამოდენიმე ჩემს მეგობარს ე. წ. მობილურ ჯგუფებს ჩავდგომოდით სათავეში. მობილური ჯგუფები უზრუნველყოფდნენ წინასაარჩევნო პერიოდში რეგიონებში ვიზიტების უსაფრთხოებას და გაყალბების პრევენციას.

მთელი ამ დროის მანძილზე, ჩემს ტელეფონზე ხორციელდებოდა არაერთი მუქარის შემცველი ზარი, რომ თუ არ ჩამოვშორდებოდი ჩემს საქმიანობას, „გამფაქტავდნენ“ , ჩამიდებდნენ წამალს ან იარაღს და დამიჭერდნენ. მათ უნდოდათ არა მარტო ჩემი ჩამოშორება, არამედ მთლიანად იმ ძირითადი ღერძის მოშორება, რომელიც ამ ჯგუფში აქტიურ მონაწილეობას იღებდა. დაახლოებით 20 კაციანი ჯგუფი იყო, სამაგიეროდ, ჩემი ბიზნესის დაბრუნებას მპირდებოდნენ, რაზეც მე, რა თქმა უნდა, უარს ვეუბნებოდი.

საპარლამენტო არჩევნების შემდეგ აბსოლუტური მარცხი განიცადა ოპოზიციამ. მაისში არჩევნები დამთავრდა და 8 ივნისს სპეციალურმა ოპერაციულმა დეპარტამენტმა დამაპატიმრა. მაგ პერიოდისთვის უკვე აღარც სახლი მქონდა, აღარც არაფერი... ვცხოვრობდი ჩემს დასთან, რომელიც ონკოლოგიური ავადმყოფი იყო.

ერთ მშვენიერ დღეს, გამოვედი სახლიდან, ჩავჯექი მანქანაში და გამოვედი პავლოვის ქუჩის მიმართულებით. იქ კუთხეში შუქნიშანია და წითელზე გავჩერდი, ამ დროს, დავინახე,

რომ შავმა მერსედესმა გზა გადამიკეტა, გავიხედე სარკეში და დავინახე, რომ უკანაც მანქანა იდგა და გვერდებიდანაც, რამდენიმე მანქანამ მომაქცია ალყაში. თითქოს მივხვდი რაც ხდებოდა, მაგრამ ბოლომდე ვერ გავშიფრე სიტუაცია, რადგან არც ერთ მათგანს არ ეცვა ფორმა, არც საბუთი გააჩნდათ.

იმ პერიოდში, როცა ნაციონალურმა მოძრაობამ გაიმარჯვა საპარლამენტო არჩევნებში, ოპოზიციონერებზე ნადირობა დაიწყო. ჩემს მეგობრებზეც შემიძლია გითხრათ: ზოგს სადარბაზოში დახვდნენ, ზოგი მოიტაცეს და საბარგულით გაიყვანეს ქალაქიდან, ზოგი სასაფლაოზე სცემეს, ზოგი ტყეში და იქვე დატოვეს. ერთი ძლივს გადაარჩა, შემთხვევით იპოვა ვიღაც მოხუცმა კაცმა, თორემ აუცილებლად სისხლისგან დაიცლებოდა. იმ პერიოდში, პოლიტიკური ნიშნით, ჯერ კიდევ, არავინ იყო დაჭერილი. ყველაზე სერიოზულად პოლიტიკური ნიშნით დაჭერილი მაშინ მერაბ რატიშვილი იყო. ამიტომ, მე ვიფიქრე, რომ ეს არის უბრალო ანგარიშსწორება, რომ მხოლოდ ჩემი ცემა უნდათ და გადავწყვიტე, რომ გამერღვია ეს ალყა. სწრაფად დავძარი მანქანა უკან, ვაპირებდი უკან მდგომი მანქანის გაჩოჩებას და რაღაც პატარა კორიდორის შექმნას, რომ მერე თავი დამეღწია. მაგრამ, სამწუხაროდ, მოხდა ისე, რომ იმ მანქანას უკან სხვა მანქანა მოადგა და ორი მანქანა ველარ გავწიე. მანქანის შუშები ჩამიმსხვრიეს, კარი გამიღეს, შემომიკვივდნენ, გადამაწვინეს და მეორე მხრიდან, რომელ მხარეზეც გადამაწვინეს ხელბორკილები დამადეს. ვიგრძენი, რომ ვიღაცა ქურთუკის ჯიბეში ხელს მიფათურებდა. ამაზე ეგრევე ავტებე ყვირილი, რას მიდებთ მეთქი ჯიბეში. რა თქმა უნდა, პასუხი არავინ გამცა. მე არ ვჩერდებოდი, ვყვიროდი, მინდოდა, რომ გამვლელების ყურადღება მიმექცია იმიტომ, რომ ეს ყველაფერი ხდებოდა დღისით, ხუთ საათზე. მოკლედ, ამომიღეს ჯიბიდან ის, რაც თვითონ ჩამიღეს. როგორც შემდეგ გაირკვა, სუბოტექსი ყოფილა და აღმოჩნდა, რომ იმ რაოდენობაზე ცოტა ყოფილა ვიდრე უნდოდათ. მათ უნდოდათ, ჩემთვის 260-ე მუხლის მეორე ნაწილი შეეფარდებინათ, ხოლო ის რაოდენობა, რაც ჯიბეში ჩამიღეს, პირველ ნაწილში შედიოდა. ამიტომ, სასწრაფოდ მიიღეს სატელეფონო ბრძანება, რომ კიდევ დაემატებინათ და ერთ-ერთი გამომმძიებელი შეძვრა მანქანაში და კიდევ ჩამიყარა ქალაქში შეხვეული სუბოტექსი. შემდეგ წამიყვანეს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის შენო-

ბაში და დამკითხეს. ეს დაკითხვა ძალიან შეურაცხმყოფელი იყო, თუმცა ფიზიკურ შეურაცხყოფას არ ჰქონია ადგილი. მე-კითხებოდნენ, სად ვიყიდე ნარკოტიკი, მე ვპასუხობდი, რომ ნარკოტიკი არასოდეს მიყიდია და არც ეხლა. აბა იმათ ჩაგიდესო? და იმ კაბინეტისკენ გაიშვირა ხელი, სადაც ისინი ისხდნენ, ვინც დამაკავეს. მე დავუდასტურე, რომ დიას მეთქი. და შენ როგორ ფიქრობ, რატომ ჩაგიდეს ნარკოტიკი? მე ვუთხარი, რომ ერთადერთი ამას ვაკავშირებ ჩემს ოპოზიციურ საქმიანობასთან მეთქი. ამაზე გაელიმა და რა არისო ოპოზიციო? ნუ, არანორმატიული ლექსიკა იხმარა. მივხვდი, რომ აქ ლაპარაკის გაგრძელებას აზრი არ ჰქონდა. შემდეგ შემომთავაზა, რომ დამესახელებინა ვინმე ბარიგა, რაზეც ვუპასუხე, რომ მე ასეთს არ ვიცნობდი. მან მითხრა, რომ ნებისმიერ ნარკომანზე შემძლო დამედო ხელი და იმ წუთასვე მომხსნიდნენ ხელბორკილებს და გამომიშვებდნენ. რა თქმა უნდა, ამაზე უარი ვუთხარი. ამას მოჰყვა ჩემი გლდანის ციხეში გადაყვანა.

მე რომ დამაპატიმრეს, ერთ საათში, დააპატიმრეს ჩემი მეგობარიც. ფაქტიურად, ჩვენ ორნი ერთად ვხელმძღვანელობდით ამ მობილურ ჯგუფებს ოპოზიციაში. ზუსტად იგივე სიტუაციაში დაიჭირეს ისიც, ოღონდ მე თუ ქუჩაში დამიჭირეს, ის სახლში. ის უკვე გაფრთხილებული იყო ჩემი ოჯახის წევრებისგან და თავის დაზღვევის მიზნით გამოიძახა ადვოკატი. როცა სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ჯგუფი მასთან მივიდა, უკვე 8 კაცი ჰყავდა სახლში. პირდაპირ უთხრეს: მოდი, ბევრი რომ არ ვინვალოთ, და შენი ოჯახის წევრებიც არ ვანვალოთ, გვითხარი, სად არის შენი ტანსაცმელი. მან მიუთითა გარდერობზე, ერთ-ერთი თანამშრომელი მივიდა, გააღო გარდერობის კარი, ჩაყო ხელი ერთ-ერთ პიჯაკში და ამოიღო იგივე რაოდენობა სუბოტექსი, რაც მე ჩამიყარეს .

მოკლედ, 2008 წელს მოვხდი გლდანის ციხეში. კარანტინის „კორიდორს“ მე ავცდი. დაემთხვა, რომ უცებ დაცალეს კარანტინი და ყველა საკნებში გადაგვიყვანეს. ჯერ მოვხვდი ორკაციან საკანში, სადაც თქრიალით მოდიოდა წყალი ,მე არ ვიცოდი იქაური ციხის წესები და დავაკაკუნე კარზე, ვინმესთვის რომ დამეძახა და მეთქვა წყლის შესახებ, დაძინებაც კი შეუძლებელი იყო. თურმე, დაკაკუნება ყოფილა სამშობლოს ღალატის ტოლფასი. გაიღი კარი, შემომიცივივდნენ, სასტიკად მცემეს ამ დაკაკუნების გამო და მითხრეს, რომ კიდევ თუ და-

ვაკაკუნებ ან დავიძახებ, დამამტვრევდნენ ხელებს. მოკლედ, ეს იყო ჩემი პირველი ღამე გლდანის ციხეში. სასტიკად ნაცემმა გამოვიღვიძე დილით. არ ვიცი, ვისი გადანიყვეტილება იყო, მაგრამ დილით გამიყვანეს ამ საკნიდან და მოპირდაპირე საკანში შემიყვანეს, სადაც უკვე ექვსი კაცი დამხვდა. ნუ, იქ შედარებით კარგი პირობები იყო, არც სიგარეტის პრობლემა იყო, არც საჭმლის, ყველაფერი გვექონდა. არც წყალი მოდიოდა... რა თქმა უნდა, პერიოდული უსაბაბო ცემა-ტყეპა გრძელდებოდა.

გლდანის ციხეში ყველაზე ცუდად ერთი დღე მახსოვს, გაიღო საკნის კარები და შემოვიდა დაახლოებით 6-7 კაცი, ფიზიკურად ძალიან ძლიერები და დაგვინყეს ყვირილი, თუ რატომ ვხმაურობდით გუშინნინ, რაზეც მე ვუპასუხე, რომ ჩვენ არ ვხმაურობდით და თუ ვხმაურობდით, მაშინ რატომ არავინ არაფერი გვითხრა იმ დღეს და რატომ ამახვილებდნენ ამაზე ყურადღებას დღეს. ამაზე მოეშალა ნერვები ერთ-ერთს, მკითხა გვარი და აბა სუყველა დამნკრივდით და წამოდით აბანოშიო. ძირითადი ცემა ხდებოდა აბანოში. ერთადერთი ადგილი მთელ ციხეში იყო აბანო, სადაც არ იყო კამერები. ჩვენ შორის იყო ერთი 18 წლის ბიჭი, ჩემი შვილის ასაკის ბავშვი. დაინყეს ჩვენი სასტიკი ცემა. დაგვყარეს მეტლახზე დასისხლიანებულები. შემდეგ, რომ გავიხედე ამ ბავშვისკენ, კუთხეში ჰყავდა ერთ-ერთს მიმწყვდეული ეს ბავშვი, ხოდა, შეაგინე ქურდებსო, ეუბნებოდა. ეს ბავშვი არ აგინებდა, არც ქურდებს არც არავის. მაშინ, ახლა გააღე პიროო და დაინყო შარვლის გახსნა. ამ მომენტში, მე ვეღარ მოვითმინე და საკმაოდ კორექტულად, ყოველგვარი შეურაცხყოფის გარეშე დავუყვირე, რას შევებით, ბავშვია, არ გრცხვენიათ მეთქი. ამან უფრო გააღიზიანა. სულ ყველას უბრძანეს ჩაცმა იმიტომ, რომ წელს ზემოთ ყველა გახდილები ვიყავით და ყველა საკანში დააბრუნეს, მე დამტოვეს. შემდეგ გაგრძელდა ჩემი ცემა, ნახევრად მკვდარი მიმათრიეს საკანში.

ფიზიკური ტრავმები იმდენად შემანუხებელი არ არის, როგორც თვითონ შეურაცხყოფა. მე ჩემზე ვამბობ... წარმოიდგინეთ, საქართველოში დაბადებული და გაზრდილი ადამიანისთვის რა არის 24 საათის განმავლობაში დედას რომ გაგინებენ. დედის გინება გესმის ხან ვისგან, ხან ვისგან. აგინებენ აბსოლუტურად ყველას. მათთვის ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო, მაგრამ პირადად ჩემთვის, ძალიან შეურაცხყოფელი. აი, ძალიან დამორგუნველია, ეს დედის გინებაც და ეს ცემის ფორმაც.

ეს არის სასტიკი ცემა, ანუ არანაიარი გარანტია არ აქვთ არც მათ, არც შენ, რომ არ შემოაკვდები. ეს არ არის უბრალოდ ცემა. ცემის დროს, ადამიანი ზომავს რალაცას აი სად დაარტყას, როგორ დაარტყას. იქ არ არსებობს მსგავსი რალაცა. წარმოიდგინეთ, ნაცემი რომ ხარ, ძირს აგდებარ, განძრევის საშუალება არ გაქვს და 120 კილოგრამიანი ადამიანი საკმაო სიმაღლიდან გახტება მკერდზე, ზურგზე, თავზე... იმდენად „მწვანე შუქი“ ჰქონდათ ანთებული, რომ არც სახეს იფარავდნენ ნიღბებით... ცემე, თუ გინდა, მოკალი, მაგრამ რეჟიმი უნდა იყოს ასეთი, როგორიც არის და ამას ეძახდნენ დისციპლინას. ბუზის გაფრენის ხმას გაიგებდით გლდანის ციხეში. 5000 პატიმარი სადაც იჯდა, თქვენ იქ გაიგონებდით ბუზის გაფრენას... იყო აბსოლუტური სიჩუმე.

ის წლები რაც მე აქამდე ვიცხოვრე, რითიც ვამაყოფდი, -საკუთარი მიღწევებით ან საკუთარი ვაჟკაცობით, ეს ყველაფერი გაქარწყლდა აბსოლუტურად, ყველაფერმა დაკარგა ფასი. ანუ, მე უკვე მე აღარ ვიყავი. ის ხელშეუხებელი, რაც მე შიგნით გამაჩნდა, გადათელილი იყო, აღარ არსებობდა. მეგონა, ასე დარჩებოდა ყველაფერი და, თურმე, ამასაც ჰქონია რეაბილიტაციის უნარი. ექვსი თვის თავზე, მე გამათავისუფლეს საპროცესო გარიგების საფუძველზე, რა თქმა უნდა, აღიარებით, რომ ეს ნარკოტიკი ჩემი იყო და ა.შ. ხოდა ფაქტიურად დაიწყე ჩემი თვითრეაბილიტაცია. ბოლომდე არ ვანებებდი თავს ჩემს ოპოზიციურ საქმიანობას, უბრალოდ ახლა ვცდილობდი რომ არ გამოეჩენილიყავი. ჩემმა ოჯახის წევრებმაც არ იცოდნენ, თუ რას ვსაქმიანობდი და საკმაოდ კარგად გამომდიოდა რალაც პერიოდი. შემდეგ საფინანსო პოლიციაში მოხდა ცვლილებები, დავინახე, რომ არის შანსი, აღმედგინა ჩემი ბიზნესი და დავიწყე ამ მიმართულებით მუშაობა. რა თქმა უნდა, ჩემი გამოჩენა ამ ბაზარზე, ჩემს „კონკურენტებს“ არ ესიამოვნათ, რადგან მე კლიენტურასთან საკმაოდ დიდი ავტორიტეტი მქონდა და ეს ავტორიტეტი მოვიპოვე ჩემი პატიოსანი ქმედებებით. მოკლედ, ესენი დაინტერესდნენ ჩემი საქმიანობით, ერთი პიროვნება დაკითხეს და ათქმევინეს, რომ მე ვაგრძელებდი ოპოზიციასთან მუშაობას და ყველაფრის ზურგს უკან მე ვიდექი. ეს საკმარისი იყო იმისთვის, რომ დავეპატიმრებინე.

2010 წლის 10 დეკემბერს სამსახურიდან ჩემმა მეგობარმა მომიყვანა სახლში; ეს იყო საღამოს, დაახლოებით 9 საათი. უკ

ვე სიბნელე იყო, ჩამოვედი მანქანიდან და გავემართე სადარბაზოს მიმართულებით. შევედი თუ არა სადარბაზოში, ვილაცამ დამიძახა, სიბნელე იყო და ვერაფერს ვხედავდი. რომელი ხარ მეთქი, ვიკითხე, უცებ სხვა პიროვნებებიც გამოჩნდნენ – საფინანსო პოლიციიდან ვართ, არ გინდა ყვირილი და ზედმეტი ყურადღების მიქცევაო და აი ამ მომენტში ამომიტრიალეს ხელები. შემდეგ მანქანაში ჩამსვეს და წამიყვანეს საფინანსო პოლიციაში. შემიყვანეს ერთ-ერთ კაბინეტში და იქ ეგრევე ყვირილი დამიწყეს, რაღაც სულელურ კითხვებს მისვამდნენ. შემდეგ მომათავსეს ისევ გლდანის მე-8 საპყრობილეში. გლდანის მე-8 საპყრობილეში სამი თვის განმავლობაში მომინია ჯდომა, სანამ ჩემი ადვოკატი და ჩემი მეგობრები მიაღწევდნენ იმას, რომ გირაოთი გავთავისუფლებულიყავი.

31

ჩემს გათავისუფლებამდე, დაახლოებით, სამი კვირით ადრე, შემოგვივარდნენ საკანში ციხის ადმინისტრაციის თანამშრომლები, იმდროინდელი რეჟიმის უფროსის მეთაურობით, სტანდარტული ბრალდებით, რომ თურმე, ვხმაურობთ. ერთ-ერთ ჩემს თანამესაკნეს ეცნენ ყელში და დახრჩობა დაუწყეს. ეს არ იყო უბრალოდ ყელში ხელის მოჭერა, ბიჭი იხრჩობოდა, რეალურად იხრჩობოდა, უკვე გაშავდა, ენა გადმოუვარდა... მე ჯერ სიტყვიერად მივმართე, რომ თავი გაანებეთ მეთქი, შემდეგ რომ დავინახე სხვა გამოსავალი არ იყო, ხელი ვკარი ერთ-ერთს. ამ ჩემი ქმედების, ეტყობა შეეშინდათ და წამებში გაიქცნენ საკნიდან. ზუსტად ხუთ წუთში გაიღო კარები და გამოგვიძახეს – ჯერ ის პიროვნება, რომელსაც ახრჩობდნენ და მერე მე. ჩაგვიყვანეს ორივე, ეგრეთწოდებულ, „კარანტინში“, გაგვაშეშლეს. შემდეგ ის პიროვნება მისმა მეგობარმა იცნო. თურმე, უბნელები ყოფილან და გადაარჩინა. მე ტანზე გახდილი დავრჩი „კარანტინში.“ ბევრი რომ არ გავაგრძელო, ატყდა სასტიკი ცემა. ნუ, ამას მე ცემას უკვე ველარ დავარქმევ იმიტომ, რომ სანამ ფეხზე ვიდექი, ჯერ ხომ მუშტები მირტყეს, თან ძალიან ბევრნი იყვნენ, ვერც გეტყვით, რამდენი იყვნენ, ველარც ვხვდებოდი უკვე, საიდან მხვდებოდა ხელი. შემდეგ დავეცი და რაც მოვახერხე ერთადერთი ის იყო, რომ ავიფარე სახეზე ხელები, სახეში რომ არ მომხვედროდა. ამაზე რეჟიმის უფროსმა გამაშლევინა ხელები და შემაფურთხა. აღარ მახსოვს, რამდენი ხანი გრძელდებოდა ეს ყველაფერი, რაღაც მომენტში გონება დავკარგე და გონს რომ მოვედი, უკვე კარან-

ტინის ერთ-ერთ ცარიელ საკანში ვიყავი მიგდებული აბსოლუტურად შიშველი. ჩემი ტანსაცმელი იქვე ეყარა ოლონდ დახეული; სპეციალურად დამიზიანეს ტანსაცმელი. პირველი რეაქცია ის მქონდა, რომ ტანსაცმელი ჩამეცვა, მაგრამ განძრევა ვერ მოვახერხე. წყლისთვისაც ვერ ავდექი. ასე გავატარე დაახლოებით ნახევარი საათი ბეტონის იატაკზე. მერე გაიღო კარები, შემოვიდა ოფიცერი, რომელიც მემგონი ამ ცემაში არ იღებდა მონაწილეობას. ტანზე რატო არ იცმევო მკითხეს, მე ვუთხარი, რომ ვერ ვდგები მეთქი. მაგრამ ჩემი ხმა ვერ გავიგონე. მივხვდი, რომ დაყრუებული ვარ, ფაქტიურად არ მესმის ჩემი ხმა, თან უკვე რალაც უაზრობებსაც ვლაპარაკობდი, უკვე ველარ ვაკონტროლებდი, რას ვლაპარაკობდი. მთელ ხმაზე ვყვიროდი, თქვენ გესმით ჩემი ხმა, თქვენ გესმით ჩემი ხმა? მერე ბოლოს თავი დამიკრეს, გვესმისო. მოკლედ, რალაცნაირად ერთმა ამნია, მეორემ დამიწყო რალაცეების ჩაცმა, ყველაფერი დახეული იყო. მომიკიდეს ხელი და წამათრიეს, რადგან პრაქტიკულად, ვერ დავდიოდი. წამათრიეს სულ სხვა კორპუსში და ჩემთვის უცნობ საკანში შემადგეს. ტომარას რომ შეაგდებ აი ეგრე და გამომიხურეს კარები. 8 კაციანი საკანი იყო. ის პატიმრებიც ვერ მიხვდნენ, რა ხდებოდა, ვინ ვიყავი, რა მჭირდა იმიტომ, რომ ადამიანს აღარ ვგავდი უკვე. რალაცას მელაპარაკებოდნენ და მე პასუხს ვერ ვცემდი. ეს ყველაფერი დაახლოებით ორი საათის განმავლობაში გრძელდებოდა. ჩემ აზრზე მოსვლას დაჭირდა 3 კვირა. შემდეგ ძლივს სასამართლოზე მიმიყვანეს, მოსამართლეს სტანდარტული პასუხი გავეცი, რომ კიბეებზე დავეგორდი. უფლება არ მქონდა, რომ სხვა რამე მეპასუხა იმიტომ, რომ ამით უფრო გავირთულებდი მდგომარეობას და შეიძლება, გარეთ საერთოდ ველარც გავსულიყავი. ამიტომ, მე ყველაფერი შევასრულე ისე, როგორც იმ მომენტისთვის იყო საჭირო და გირაოთი გამათავისუფლეს.

ვფიქრობ, რომ ამ ადამიანებზე იდეოლოგიური მუშაობა ტარდებოდა. თვითონ ეს პიროვნებებიც შერჩეულები იყვნენ ერთი ნიშნით: ქუჩაში ან სკოლაში დაჩაგრულები, ბადრაგები და ადმინისტრაცია მყავს მხედველობაში. მათ, ალბათ, რალაც შინაგანი პრობლემა ჰქონდათ, სჯეროდათ და სწამდათ, რომ ის, რაც აქამდე იყო, უნდა დამთავრდეს; ის ქართველი, რომელიც აქამდე იყო, ცუდი ქართველია და ახლა ამ ქმედებებით, ესენი შექმნიან ახალ ქართველს. ცემა არ იყო რალაც ცალკეული

შემთხვევა, ეს იყო სისტემური, მიზანმიმართული ცემა, რომ რაღაც ახალი ჯიში გამოეგონათ, რაღაც ახალი ჯიში ჩამოეყალიბებინათ. იქ გლდანის ციხეში მე რასაც ვუყურე, თითქმის მიღწეული იყო ეს მიზანი იმიტომ, რომ მე ვნახე ძალიან ბევრი დემორალიზებული ადამიანი, ანუ რომლებსაც უკვე არანაირი პროტესტის გრძნობა აღარ გააჩნდათ. დავინახე, თუ რა დონეზე შეიძლება დაეცეს ადამიანი. როგორც იქითა მხარეს, მე მხედველობაში მაქვს, აი, ეს ჯალათები, ასევე აქეთა მხარეს. შემიძლია ვთქვა, თუ რა დონეზე შეიძლება იმოქმედოს ადამიანზე ამ ყველაფერმა. მე ვნახე, დემორალიზებული ადამიანები, რომელთაც ვერაფერი უშველის.

მე არასოდეს ჩემი კურსისთვის არ გადამიხვევია. შეიძლება შეფერხებები მქონდა, მაგრამ კურსისთვის არ გადამიხვევია და აი ამ მიზნისკენ ლტოლვა, ეს არის ჩემთვის ერთგვარი თერაპია.

ჩემს თვალწინ მოხდა ამ რეჟიმის საძირკველის ჩაყრა და უკვე ვიცი, როგორ გავშიფრო მცდელობა იმისა, რომ კიდევ ეგეთივე რაღაც არ ჩამოყალიბდეს და თუ ადრე, მაგალითად, ამას ყურადღებას არ ვაქცევდი და მეგონა, რომ საზოგადოება ამას არ დაუშვებს, ახლა ვთვლი, რომ თუ მე დავინახე პრეცედენტი, ხმა უნდა ამოვიღო.

გარდა იმისა, რომ მაქვს მცდელობები, დაფუბრუნდე ჩემს ძირითად საქმიანობას, აქტიურად ვარ ჩართული სახალხო მოძრაობაში. მე ჩავუდექი სათავეში ჯგუფს, რომელსაც ეწოდება „დაზარალებულ ბიზნესმენთა და მენარმეთა ჯგუფი“.

საზოგადოებას ვურჩევ, არასოდეს დახუჭოს თვალი აი ასეთ უმსგავსობაზე მიუხედავად იმისა, ეხება მათ ეს, თუ არა; ადრე თუ გვიან მათაც შეეხებათ.

ამ წიგნმა უნდა მოიცვას აბსოლუტურად ყველა ფენა. ინფორმირებული უნდა იყოს მოსახლეობა, რომ ასეთი წიგნი არსებობს და მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ წიგნს კარგი შედეგი ექნება. ყოველ შემთხვევაში, მე ამ წიგნს შევინახავ, დაუფტოვებ ჩემ შვილს და ვთხოვ, რომ აუცილებლად წააკითხოს თავის შვილს.

(ისტორიაში ასახულია გლდანის №8, თბილისის №1 და ქსნის №15 დაწესებულებებში გადატანილი წამებისა და არაჰუმანური მოპყრობის ფაქტები)

34

მყავს მეუღლე და ორი ვაჟი. მშობლები გარდაცვლილი მყავს. განათლებული ადამიანები იყვნენ, დედაჩემი დამსახურებული ეკონომისტი იყო, მეც მომცეს კარგი განათლება: სამხატვრო სკოლა, მუსიკალური სკოლა, სპორტი და ა.შ. ბრწყინვალე ბავშვობა მქონდა. რუსეთში ვსწავლობდი, მერე აქ (საქართველოში) გადმოვედი. სპეციალობით ვიყავი ინჟინერ-კონსტრუქტორი, მშენებელი, არქიტექტორი. როსტოვში არქიტექტურის ფაკულტეტზე ვსწავლობდი. 1988 წელს პირველი საპროექტო კოოპერატივი, მე გავეხსენი ქალაქში (თბილისში). კოოპერატივების პირველ ყრილობაზე საქართველოდან ოთხი კაცი წავედით და ამ ოთხი კაცში ერთ-ერთი მე ვიყავი. საბჭოთა კავშირი რომ დაიშალა, სპეციალობა შევიცვალე. ბანკში დავინწყე მუშაობა, ვმუშაობდი მმართველის მოადგილედ. გერმანელმა სპეციალისტებმა ჩაგვიტარეს რამდენიმე კურსი, მეც გავიარე,რვა ადამიანი ამოარჩიეს და გერმანიაში გაუწვევეს სტაჟირებაზე და ამ რვა ადამიანში მეც მოვხვდი. ფასიანი ქალაქების სპეციალისტი გავეხდი, რისი ლიცენზიაც მაქვს. ვმუშაობდი ჯერ საბანკო და შემდეგ სადაზღვევო სისტემაში, ერთ-ერთ სადაზღვევო კომპანია „ოლიმპში“,რიგით თანამშრომლად, აქედან დაიწყო ჩემი, ასე ვთქვათ, უბედურება.

2009 წლის ნოემბერში გამომიძახეს გენერალურ პროკურატურაში მონმის სტატუსით, დამკითხეს, ვმონაწილეობდი თუ არა ე.წ. „ატკატის“ (ფულს აძლევ კლიენტს შენთან რომ დადოს ხელშეკრულება) სისტემაში. მე ვუპასუხე, რომ ამ „ატკატის“ სისტემაში არ ვარ გარკვეული და პატიოსნად ვმუშაობ. პროკუ-

რატურაში მაინც მაიძულებდნენ მიმეცა საკუთარი უფროსისა და იმ ხალხის წინააღმდეგ ჩვენება, რომელთაც თითქოს ფულს ვაძლევდი. მე ვუპასუხე, რომ მსგავს უკანონო საქმიანობას არ ვანარმოებდი და ფული არავისთვის არ მიმიცია. ამის შემდეგ გამომიშვეს. 6-ის ნახევარზე გამომიძახეს და 12 საათზე სახლში გამომიშვეს, ესე იგი, ექვსი საათი ჯვარედინ დაკითხვაზე ვიყავი. ცხრა თვის შემდეგ ისევ გამომიძახეს. მითხრეს, დამატებით ჩვენებას მივცემდი თუ არა. მე უარი ვუთხარი, ხელფასის გარდა, ფული, არ ამიღია და არც არავისთვის მიმიცია. დამემუქრენ თუ მივცემდი ჩვენებას, 15 წუთში სახლში გამიშვებდნენ, თუ არადა ცუდად წამივიდოდა საქმე. სახლში მოვიდნენ და გადამიყვანეს ე.წ. „კაპეზეში“ იმ მოტივით, რომ ჩვენებას არ ვცვლიდი. მეუბნებოდნენ, რომ აღარ ჰქონდა მნიშვნელობა მე ქრთამს ვაძლევდი თუ არა, მხოლოდ გვარების დასახელებას მთხოვდნენ.

იმ სისტემაში, რომელშიც მე ვმუშაობდი მექანიზმი შემედგანირად მუშაობდა, მე მქონდა ამ სადაზღვევო კომპანიის სადაზღვევო პაკეტი და ვაცნობდი ამას ქალაქების გამგეობებში. თუ ვინმე დაინტერესდებოდა, უკავშირდებოდა ჩემს უფროსს და აფორმებდა ხელშეკრულებას. პრინციპი ასეთი იყო, რაც უფრო მეტს მომხმარებელს დააინტერესებდი, მით მეტი შანსი იყო, რომ ვინმე დადებდა შენთან ხელშეკრულებას. ოცი-ოცდაათი გამგეობა იყო და პროკურატურას უნდოდა მათზე გავსვლა, ძირითადად კი აინტერესებდათ სამეგრელოს რეგიონი.

შემდეგ ჩემმა უფროსმა მისცა ჩვენება, რომ ვაძლევდი ქრთამს და ისინი თავის მხრივ ჩვენს კომპანიასთან დებდნენ ხელშეკრულებას. ჩემს საწინააღმდეგოდ არც ერთმა მოწმემ არ მისცა ჩვენება. მთავარ ბუღალტერს, ეკონომისტს, სხვადასხვა პიროვნებებს რაიონებიდან ჩემს წინააღმდეგ ჩვენება არ მიუციათ. არც არავითარი ამის დამადასტურებელი საბუთი არ არსებობდა. მხოლოდ ჩემი უფროსის ჩვენება არსებობდა, რომელზეც საქმე იყო აღძრული პროკურატურაში, თანამშრომლობაზე დათანხმდა და „ჩაუშვა“ ყველა, ვინც იყო და არ იყო დამნაშავე, მათ შორის მეც და ამიტომაც დამაკავეს.

პატიმრობაში ამიყვანეს 2010 წლის აგვისტოში. სექტემბერში საკანში ხუთი ადამიანი შემოვარდა და პატიმრები სასტიკად გვცემეს. მე მეორე ჯგუფის ინვალიდი ვარ, ახალგაზრდობაში თავის ტრავმის გამო თავის ოპერაცია მაქვს გაკეთებული.

რის გამოც ხუთი წელი ვმკურნალობდი. საკანში რომ შემოვარდნენ, ერთ-ერთი პიროვნება პირდაპირ ჩემსკენ წამოვიდა და ორჯერ ძლიერ ჩამარტყა თავში, ნაოპერაციებ ადგილას. მათ შორის უფროსი ვინც იყო იცოდა, რომ ინვალის ვიყავი, გამომარიდა და გვერდზე დამსვა. დანარჩენი პაციენტები ჩემ თვალწინ ძლიერ სცემეს, ძირს აგდებდნენ და ფეხებს ურტყამდნენ, თითქოს ფეხბურთს თამაშობდნენ. ცემისთვის მიზეზი არ სჭირდებოდათ, მაგალითად, ორშაბათს ამოირჩევდნენ პირველ სართულზე მეორე და მესამე საკანს, მეორე კვირას – მეორე სართულზე, შემდეგ მესამეზე, შემდეგ ისევ პირველზე და ა.შ. იქ სულ არ იყო საჭირო რალაცა მიზეზი. მით უმეტეს, საშინელებაა, თუ პირველ სართულზე ხარ. საკანში ჩურჩულით ვლაპარაკობდით, რადიოს ყურმიბჯენილი ვუსმენდით. პერიოდულად შემოდოდნენ და აბანოში მივყავდით. საშინელება იყო, გახდელი, თავიდან ბოლომდე ტიტველი დგახარ და ისინი გირტყამენ. ეს იმიტომ კი არა, რომ რალაც მოხდა ან შენ დაარღვიე რეჟიმი, არა, უბრალოდ ასე სურდათ.

რადგან სასამართლოსთვის ვემზადებოდი, ადვოკატი ყოველ კვირა დადიოდა ჩემთან. სექტემბერში რომ მცემეს ცუდად გავხდი, ლებინება დამეწყო და ადვოკატს ამის შემდეგ ჩემთან არ უშვებდნენ, ნაცემი რომ არ ვენახე. თან ზენოლას ახდენდნენ, მეღიარებინა რომ ქრთამს ვიღებდი და ვაძლევდი კიდევაც. ოჯახის წევრებმა არ იცოდნენ რა მდგომარეობაში ვიყავი და წერილი დანერეს ომბუცმენტთან. მე თანდათან უფრო ცუდად ვხდებოდი და ექსპერტიზას ვითხოვდი. მდგომარეობა რომ დამძიმდა გადამიყვანეს მიხაელოვის საავადმყოფოში. კომპიუტერული ტომოგრაფიით დადგინდა, რომ ცემის შედეგად თავის ტვინში სისხლის ჩაქცევა მქონდა და ხელი და ფეხი მქონდა პარალიზებული. საავადმყოფოში ომბუცმენტმა მინახულა და მკითხა თუ რა დამემართა. შეიძლება თქვენ ეხლა არ დაიჯეროთ, მაგრამ მე ვუთხარი დავეცი და თავი დავარტყი, რადგან მე რომ სიმართლე მეთქვა ცოცხალი ვერ გადავრჩებოდი. დერეფანში რომ გამოვედით, ომბუცმენტის წარმომადგენელმა მითხრა -“ჩვენ ისე ვერ დაგეხმარებით, თუ თქვენ თავად არ თქვით წამების ფაქტის შესახებ“. 2010 წელი იყო და მე შიშით მეტს ვერაფრს დავამატებდი. მივახვედრე, რომ ჩვენი საუბრის ფარული ჩანერა მიმდინარეობდა. ომბუცმენტის დასკვნაში მაინც ჩანერეს, რომ მე დავექვემდებარე არაპუნანურ მოპყრობას.

მეორედ რომ მოვხვდი საავადმყოფოში, ჩემს გვერდით ნაცნობი პატიმარი იწვა, რომელიც ისე სასტიკად სცემეს, რომ ვერ ახერხებდა ფეხზე წამოდგომას. სასამართლოში საავადმყოფოდან დაყვავდი. ვერ წარმოიდგენთ რა საშინელება იყო სისხლის ჩაქცევის დროს პარალიზებული ხელ-ფეხით სასამართლოში სიარული: 6 საათზე გაღვიძებენ, მიდიხარ „ფუქსში“, ელოდები, შემდეგ 10 საათზე მიდიხარ სასამართლოში და ბრუნდები 7 – 8 საათზე.

ინსულტიანი პაციენტი ხანგრძლივ რეაბილიტაციას საჭიროებს, ჩემი რეაბილიტაცია კი სასამართლოში, ჯოჯოხეთურ პირობებში მიმდინარეობდა. სასამართლოს მსვლელობის დროს ერთხელ ისე ცუდად გავხდი, რომ სასწრაფოს გამოძახებაც კი დასჭირდათ, რომელთაც ძლივს გამომიყვანეს მდგომარეობიდან. ამ ხნის განმავლობაში პროკურორი განაგრძობდა ჩემზე ზეწოლას დანაშაულის აღიარების მიზნით. ჩემს წინააღმდეგ სასამართლოზე მოწმეების ჩვენება არ დასტურდებოდა, ვერც ქრთამის აღების ფაქტი დამიდგურეს და როცა ჩემმა უფროსმა ჩვენება შეცვალა და ფულის „მოტეხვა“ დამაბრალა ქრთამის აღების მუხლი შემიცვალეს თაღლითობის მუხლით. შვიდი წელი მომისაჯეს, რაც სააპელაციო სასამართლოში გავასაჩივრე. ამის შემდეგ ისევ გაგრძელდა ჩემზე ზეწოლა პროკურორის მხრიდან, ისევ აღიარებითი ჩვენების მიცემის მიზნით. მე ადვოკატთან შეხვედრას ვითხოვდი, რის გამოც საავადმყოფოდან პირდაპირ „კარანტინში“ გადამიყვანეს, რაც ჩემი ჯანმრთელობის მქონე ადამიანისთვის კატეგორიულად არ შეიძლებოდა. ამის შესახებ ომბუცმენის დასკვნაშიც ეწერა. ათი დღით ჩამსვეს ე.წ. „ადინოჩკაში“. ეს ორი კვადრატული მეტრის მქონე „ფუქსია“, იქ არც დასაჯდომი და არც დასაწოლია. პროტესტის ნიშნად არც წამალს და არც საკვებს ვიღებდი. ტუალეტი არ მქონდა და წამალი რაღაც მჭირდებოდა.

ეს ადამიანები სადისტიები არიან ბუნებით. მე არ ვიცი, გართე რომ მოხვდებიან, რა უნდა გააკეთონ, სუფთა „ქილერები“ და სადისტიები არიან, არაადამიანები. არც უყურებენ, შენ ავად ხარ, ცუდად ხარ, ასაკში ხარ, ვინ ხარ და რა ხარ...

ერთხელ საკანში მოვხვდი, სადაც ყველაზე უფროსი მე ვიყავი, დანარჩენი 20-დან 25 წლამდე ასაკის ჩემი შვილის ტოლი ახალგაზრდები იყვნენ. რა მნიშვნელობა აქვს რისთვის ზის პატიმარი – ქურდია, ჯიბგირია, დააშავა, თუ რა ჩაიდინა. რამდე-

ნიმეჯერ გაგვიყვანეს აბანში „догoла раздели“ – არც ტრუსი, არც წინდა, თან ზამთარი იყო და ციოდა. ბიჭებს ეუბნებოდნენ: „აბა დავაი „ადჟიმანია“ გააკეთე, შენ კი დადექი და დათვალო.“ ვინც უარი თქვა ისე სასტიკად სცემეს, რომ მე ამის დანახვაზე ტირილი დავინყე უძღურებისგან, მე ამხელა კაცი რომ ვერ ვშველოდი. იმდენად შემზარა ამის დანახვამ, ვეხვეწებოდი მე ვეცემე და მათთვის თავი დაენებებინათ. მათ საპასუხოდ შემაგინეს. ჰიტლერის კონცლაგერები გამახსენდა. არ ვიცი, ალბათ იქ თუ აკეთებდნენ მსგავს რამეს.

საინტერესოა, რატომ ხდებოდა ეს ყველაფერი. არავინ არ იფიქროს, რომ ან პრეზიდენტმა, ან რომელიმე ზემდგომმა პირმა არ იცოდა რა ხდებოდა, მაგათი დავალებით ხდებოდა ეს ყველაფერი, მაგათი დავალებით! იმიტომ, რომ დაბალ ფენას, გამორიცხულია, თავისით ასე ემოქმედა. ესეიგი, „Группа подонков, секта, каста“ მოვიდა ხელისუფლებაში „И твердит свое я“, აი მე ვარ, რაც ვარო!

რემარკის წიგნი წავიკითხე – „Возлюби ближнего своего“ სადაც ავტორი წერს კონცლაგერებში რა ხდებოდა და ვფიქრობდი, რომ ამ დღეში ვარ. რა უნდა გააკეთო?! ვერაფერსაც ვერ გააკეთებ და სულ მახსოვდა, რომ სოლომონის ბეჭედზე ეწერა „И это пройдет“, თუმცა როცა იქ ხარ, უკვე არ გჯერა, რომ გაივლის. ადვილია ეხლა, როცა ამ ყველაფერმა უკვე გაიარა.

ახლა მე ინვალიდი ვარ. მუშაობა არ შემიძლია იმიტომ, რომ საკმარისია რაიმეზე ვინერვიულო მაშინვე „ა ცუდად ვხდები, ძალიან ხშირად. ტელევიზორს რომ ვუყურებ, მაგალითად ყოფილი მაღალჩინოსნები, რომ დააკავეს, სრულიადაც არ მიხარია ნიშნის მოგებით, მაგრამ მეცინება როცა ადვოკატი აცხადებს, რომ ერთი მონმის ჩვენებით არიან დაკავებულები. ამ დროს მახსენდება, მე მონმის ჩვენებით კი არ ვიყავი დაჭერილი, არამედ იმ პირის ჩვენებით, რომელიც თვითონ იყო დაკავებული და გამოძიების პროცესში იმყოფებოდა უმკაცრესი ზენოლის ქვეშ. ეს ყველაფერი სტალინის დროინდელი „ტროიკას“ შევადარე. მაშინ არც მონმის ჩვენება იყო საჭირო, არც მტკიცებულებები, საკმარისი იყო ერთ ვინმეს დაებზღვებინა და ეს ადამიანი დაეჭირათ ან დაეხვრიტათ, ან 25 წლით გაემვავათ ციმბირში.

სასამართლო თავის ფუნქციას არ ასრულებდა. მოსამარ-

თლევები ემორჩილებოდნენ პროკურორის ბრძანებას. ერთ-ერთ სხდომაზე ჩემი ყურით გავიგონე, როგორ ეკითხებოდა მოსამართლე პროკურორს – რატომ არ მიდიხართ საპროცესო გარიგებაზე, მაგის პოზიციები ძალიან ძლიერიაო. პროკურორმა უპასუხა. “არ თანამშრომლობს ჩვენთან.” ეს იმას ნიშნავდა, რომ უდანაშაულო ხალხი უნდა „ჩამეშვა“!!!

მე დავთანხმდი თანამშრომლობაზე, როცა ჩემი ოჯახის წევრების დაშინება დაიწყეს და სახლში უკანონო ჩხრეკა განახორციელეს, ორდერის გარეშე. თვეების განმავლობაში მძიმე ზენოლას ვერ გავუძელი და აღიარებით ჩვენებას ხელი მოვანერე და სამი წელი მომისაჯეს, თუმცა მანამდე აღიარების სანაცვლოდ გათავისუფლებას მპირდებოდნენ. როცა დავინტერესედი, რატომ მომისაჯეს ამდენი წელი ამაზე პასუხად მივიღე, რომ იმ მატარებელმა უკვე ჩაიარა. ჩემი ცხოვრების სამი წელი და ორმოცი ათასი წამართვეს. იმისათვის რომ ციხიდან თავი დამეღწია, ჩემ ოჯახს ბინა დაგირავებული აქვს, შვილებმა სესხი აიღეს. ნათესავები გვერდში მედგნენ. ისინი, რომ არ დამხმარებოდნენ, ბინასაც დაგვარგავდი, მაგრამ ეს ფული ხომ უნდა დავაბრუნო! ესეთ დღეში ჩავვარდი.

ეს იყო აპათია, იმედგაცრუება... როგორმე უნდა გაუძლო იმ მდგომარეობას, რომელშიც მოხვდი. ერთადერთი ის მშველოდა, რომ საკანში პატარა ბიჭები ისხდნენ და მოკლე ლექციებს ვკითხულობდი მათთვის – მათემატიკაზე, ხელოვნების ისტორიაზე და სხვა. ვყვებოდი მხატვრებზე, ცნობილ სურათებზე. ეს მიმსუბუქებდა მდგომარეობას. ზოგი მკვლელიც, ქურდიც და ყაჩაღიც იყო და როცა ხედავდნენ, რომ ცუდად ვიყავი ზრუნავდნენ ჩემზე. პერიოდულად საკანში ჩხრეკას აწყობდნენ – საკნიდან გარეთ გავყავდით და გვჩხრეკდნენ. როცა ვბრუნდებოდით, ლეიბები მთლიანად არეული იყო ,ისტერიკა მემართებოდა და პატიმრები მამშვიდებდნენ.

სახელმწიფოს წარმომადგენელი მე, ამხელა კაცს, მცემდა, დედას მაგინებდა და ა.შ. იმ ყაჩაღს უფლება აქვს, რომ შეეშალოს და პატიმარს არ აქვს?!

ნათქვამია – „Народ заслуживает того правительства, какое имеет.“ საბჭოთა კავშირის დროს, ყველაზე საუკეთესო კომედიური ჟანრის ფილმები 1936-38 წლებში იყო გადაღებული. ხალხს უსამართლოდ აპატიმრებდნენ და პარალელურად ცნობილი ვარსკვალეების კონცერტებს მართავდნენ. ახალ-

გაზრდობის ყურადღება ამაზე გადაჰქონდათ. ყველას ხმა უნდა ამოელო და უნდა ეთქვა, რომ ეს ყველაფერი თითოეულს ეხებოდა. მაშინ შეიძლება ასე არ მომხდარიყო. თქვენ წარმოიდგინეთ, 23.000 ადამიანი ოფიციალურად იყო დაპატიმრებული. ამბობენ, არაოფიციალურად 40.000 ადამიანი იყო. ე.ი. რალაცა ჭირდა ერს და სახელმწიფოს, რალაცა ბაცილა იყო და ყველას უნდა ეთქვა, რომ ეს მასაც ეხებოდა. საპატიმროში ახალგაზრდებს სულ ველაპარაკებოდი, რადგან ისინიც ჩემი შვილების თაობაა. ვეუბნებოდი გაიგეთ, რომ არ არსებობს ქურდული გზა, პატიოსანი გზა მხოლოდ ერთია.

ეს წიგნი ჩვენი ისტორიაა. უფრო საინტერესოდ მინდოდა გადმომეცა ჩემი სათქმელი, მაგრამ ემოციები... რალაცნაირად მომანვა და ვიბნევი...

(ისტორიაში ასახულია გლდანის №8 და №18 და რუსთავის №2 დანესებულებებში გადატანილი წამებისა და არაჰუმანური მოპყრობის ფაქტები)

დავიბადე 1964 წელს, ქალაქ რუსთავში, პატიოსან ოჯახში. მამაჩემი თავიდან ტაქსის მძღოლად მუშაობდა. კომუნისტების დროს ტაქსის მძღოლს უფრო მეტი შემოსავალი ჰქონდა, ვიდრე მუშას. შვიდი წელი ჩემს მშობლებს შვილი არ ჰყავდათ, მკურნალობის შემდეგ კი მე დავიბადე. დედაჩემი დიასახლისი იყო და მთლიანად ჩემს აღზრდაზე იყო გადმორთული. მამაჩემმა, დედა სამუშაოზე არ გაუშვა, რადგან მიაჩნდა რომ, ოჯახი მას უნდა შეენახა და დედას შვილები თვითონ უნდა გაეზარდა. ვიზრდებოდი უზრუნველად, სხვა ბავშვებს თუ რამე უჭირდათ, მე არაფერი მაკლდა. ბავშვობიდან მხოლოდ ჯანმრთელობის პრობლემები მქონდა, რის გამოც მამას წელიწადში ორჯერ კურორტებზე დავყავდი სამკურნალოდ. ნიჭიერი ბავშვი ვიყავი და კარგადაც ვსწავლობდი. გარდატეხის ასაკში, მერვე კლასში, სწავლას მოვუკელი, მაგრამ იმ დონეზე არა, რომ ხელი ამელო. ოჯახის წევრები მეხმარებოდნენ. დედა სარწმუნოების სიყვარულს მინერგავდა. შემდეგ მამაჩემმა სამუშაო ადგილი შეიცვალა და უფრო მეტ ფულს შოულობდა, ოჯახის ფინანსური მდგომარეობა უფრო გაუმჯობესდა, საცხოვრებელი პირობები კარგი გვქონდა. ჩემს მშობლებს უნდოდათ, რომ მე აუცილებლად პროკურორი გავმხდარიყავი. მე კი ეს არ მინდოდა. სკოლის დამთავრების შემდეგ 1981 წელს მამაჩემმა გადაწყვიტა, რომ აუცილებლად ჩამებარებინა უმაღლესში. მაშინ ყველაზე ძვირი იყო სამედიცინოზე და იურიდიულ ფაკულტეტზე მონყობა. მამას ნაცნობები ჰყავდა მოსკოვში ვისაც შეეძლო მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში მონყობაში

დამხმარებოდა. მოლაპარაკებელი იყო ერთ ქალთან, რომელიც გარკვეული თანხის საფასურად მომანყობდა იურიდიულ ფაკულტეტზე. მე ძალიან წინააღმდეგი ვიყავი. მიუხედავად ამისა, მამამ ჩამიყვანა მოსკოვში, მე და ჩემი საბუთები ჩავგვებარა ამ ქალს, დამტოვა და თავად უკან დაბრუნდა. მართო რომ დავრჩი, გამოვიტანე ჩემი საბუთები და შევიტანე ტექნოლოგიურ ინსტიტუტში. სადაც გამოცდები ჩავაბარე და მოვხვდი კიდევ. მამაჩემმა, რომ გაიგო იურიდიულ ფაკულტეტზე კი არა ტექნოლოგიურზე ჩავაბარე ჩამოფრინდა და ყოველგვარი ფინანსური დახმარება შემიწყვიტა. ცოტა ხანში მამა დააპატიმრეს. მალე მეც სასწავლებლიდან გამომრიცხეს.

შემდეგ ჯარში ვმსახურობდი. მეთაურთან შელაპარაკება მომივიდა და თხუთმეტმა კაცმა ისე მცემა ქამრის ბალტებითა და კონდახებით, რომ დიდხანს ფეხზე ვერ დავდიოდი. ამის შემდეგ ფსიქიკურად მოვიშალე. ამიტომ ამ პერიოდის დეტალები ცუდად მახსოვს. ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადამიყვანეს და ჯარიდანაც გამათავისუფლეს.

ჩამოვედი საქართველოში, დავიწყე სწავლა კვების ტექნოლოგიურზე. პარალელურად ძეხვეულის სანარმოში გავდიოდი პრაქტიკას. შემდეგ სტავროპოლში გადავიტანე საბუთები ხორცის ტექნოლოგიურზე. 1986-87 წლებში მცირე ბიზნესი წამოვიწყე, რომელიც მალე დაიშალა. აფხაზეთში რომ ომი დაიწყო, 1992 წელს უკრაინაში ვმუშაობდი, თავი ვადლებულებად ჩავთვალე დავხმარებოდი ჩემს ქვეყანას. მივატოვე ყველაფერი და ომში წავედი. 1992 წლის ოქტომბერში მანქანა, რომელშიც ვიჯექი ნალმზე აფეთქდა, კლინიკური სიკვდილი გადავიტანე. ერთი თვე ვმკურნალობდი თბილისში თავის ტვინის მძიმე შერყევის გამო. მომანიჭეს ინვალიდობის მესამე ჯგუფი. ამის შემდეგ, მიუხედავად აკრძალვისა, ომში ისევ დავბრუნდი. უსახსრობის გამო 1996 წლიდან დავიწყე ალკოჰოლის მიღება და ნარკოტიკების მოხმარებაც. პერიოდულად თავს იჩენდა მძიმე ფსიქიური პრობლემები. რამდენიმეჯერ ვმკურნალობდი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. 2006 წლიდან ომის ინვალიდის პენსია და შეღავათებიც მომეხსნა.

მყავს მეუღლე, ორი შვილი და უსინათლო დედა. უსახსრობის გამო ბინა დავტვირთე იპოთეკით, სესხის თანხის გადაუხდელობის გამო ბინა გაიყიდა და ოჯახის წევრები იძულებით გამოასახლეს ბინიდან, ისე რომ პირადი ნივთებიც არ გამოა-

ტანეს. სასამართლოში მევალეს ვუჩივლე, რასაც შემდეგ მოჰყვა სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირება ჩემი ოჯახის წევრებს, მევალესა და მის დამცველებს შორის. ერთ-ერთ ჩხუბის დროს სცემეს ჩემი ცოლი, ხოლო მე ნასვამ მდგომარეობაში შემთხვევით დავჭერი ადამიანი.

ამ შემთხვევიდან ოცი დღის შემდეგ დააპატიმრეს ჩემი ცოლი თაღლითობის, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ მე - მკვლელობის მცდელობის მუხლით. გადამიყვანეს რუსთავში ე.წ. „გუბერნსკის“ ციხეში. ოცდაორ ადგილიან საკანში ასთხუთმეტი პატიმარი იყო. მთელი დღე ტუალეტთან მისასვლელ რიგში ვიდექით. დაჯდომაზე და დანოლაზე ზედმეტია ლაპარაკი, ვიდექით ასე მიჭექყილები, საჭმელზე ხომ საუბარი არ არის, რაღაც საზიზღრობა იყო.

იანვარში გადამიყვანეს გლდანში. შეგვყარეს კამერაში და დაგვცხეს „დუბინკებით“ და სანტექნიკის მილებით. არ გეკითხებოდნენ გვარს და სახელს, ვინა ხარ, რა ხარ... თან ერთი კი არ გირტყამს, რამოდენიმე...

ვერ ხვდებოდი, რისთვის მცემდნენ, ყველგან მირტყამდნენ – თავში, ზურგში, მუცელში, სადაც მოხვდებოდათ. ვიდექი, რომ ოღონდაც არ ნავექცეულიყავი, რადგან დავინახე ერთი ნაიქცა და როგორ დაუნყეს ნიხლებით ცემა და ღმერთო, არ წამაქციო, ოღონდ არ წამაქციოთქო... თან თავი საშინლად მტკიოდა, ცუდად გავხდი. ვთხოვე – ავადმყოფი ვარ და თავში ნუ მირტყამთ. თბილი „დუბლიონკა“ მქონდა და თავზე წავიფარე. ბიჭო, იფარებსო და „დავაი“, წავიდა ნიხლი, მუშტი, „დუბინკა“, რავიცი, დედა მიტირეს. შემდეგ ერთ-ერთმა მათგანმა დაიყვირა – „ამ „დუბლიონკით“ სად უშვებთო!“, „ბიჭო შენ იცი მე ვინ ვარო“, დამისახელა სახელი და გვარი. შევაგინე და ვუთხარი, „ამ „დუბლიონკის“ გულისთვის მკლავთ? მითხარით, გავიხდი და მოგცემთ.“ რამ შემაგინებინა?! თურმე, ციხის უფროსი ყოფილა და მე არ ვიცოდი. ეს დასაწყისი იყო. წამიყვანეს „ჩ“ კორპუსზე. ამიყვანეს საკანში პირველ სართულზე. შემდეგ მოვიდა რეჟიმის უფროსი თავისი ბრიგადით, მიბრძანეს, გამოვსულიყავი. შენ ვის შეაგინეო, და ცემა დამიწყეს ერთად ათი თხუთმეტი მირტყამდა. შემდეგ გაჩერდნენ კარი გაიღო და ისევ ციხის უფროსი შემოვიდა – „ეხლა ხომ გაიგე მე ვინ ვარ? ეს ჩემი ციხეა და აქ მე ვარ უფროსიო.“ მე ვუთხარი, ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს, შენი იყოსთქო. ამის გაგონებაზე

ყურებში ორივე ხელით შემომარტყა (ამას ხშირად იყენებდა, ორივე ხელით გირტყამდა) კვირაში რამოდენიმეჯერ, თითქმის ყოველ მეორე დღეს ამოდრიოდ რეჟიმის უფროსი და ციხის უფროსი და სასტიკად მცემდნენ.

ბადრაგი შემოდრიოდა კამერაში გვაგინებდნენ, საკანში ყველა პატიმარს გვცემდნენ. მოთმენა რომ აღარ შემეძლო, მეც ვაგინებდი და მაშინ გონების დაკარგვამდე მცემდნენ. კბილები სულ ჩამიმტვრის. მელაძე დამემუქრა, თუ კარგად არ მოვიქცეოდი კბილებს ფესვებიანად ამოგაგლეჯო. სამი თვე ციხის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ვინექი. ამ პერიოდში არჩევნები მოდიოდა. დამიმზადეს პირადობის მოწმობა და მაიძულებდნენ, რომ არჩევნებში მიმელო მონაწილეობა და ხუთიანი შემომეხაზა. ხმის მისაცემად, რომ ჩამიყვანეს, მე ხუთიანის ნაცვლად ერთ-ერთ ოპოზიციურ პარტიას მივეცი ხმა, რადგან მათი მჯეროდა. ამის გამო ხელკეტებით და წიხლებით მცემეს თან მიყვიროდნენ: „ეს პარტია გინდაო? შენ რა გითხარი, რისი გულისთვის გაგიკეთეთ პასპორტიო“ – ბუნდოვნად მახსოვს, რამდენი ადამიანი იყო ვერ ვიხსენებ.

ამ შემთხვევის შემდეგ საავადმყოფოდან გამწერეს. ისევ ციხის დირექტორთან მიმიყვანეს, რომელმაც მცემა და ისევ ჩამიმტვრია კბილები. შემდეგ გადამიყვანეს „E“ კორპუსში. იქ ციხის უსაფრთხოების თანამშრომლები სისტეკით ცნობილი ორი პირი მოდიოდა და ისევ მცემდა. ციხის დირექტორიც ხშირად ამოდრიოდა და მონაწილეობას იღებდა ცემაში. წამლებს არ მაძლევდნენ და ამის გამო ერთი ორჯერ შიმშილობა დავინყე, რადგან ჰალუცინაციები მექონდა. თითქოს ათასი კაცი მელაპარაკებოდა – შენ შეილებს მოვკლავთო. თუ შიმშილს დავინყებდი, კარცერში ჩასმით მსჯიდნენ. ერთხელ ათი დღე მშრალ შიმშილზე გადავედი, მეოთხე თუ მეხუთე დღეს ვილაცამ ატეხა ყვირილი – კაცი კვდება კამერაშიო.

გლდანში ვიყავი ერთი წელიწადი. ერთხელ როცა ცუდად გავხდი ციხის დირექტორმა ნემსი აიღო, ფეხი გაუშვა, დააბინძურა და იქ მყოფებს უბრძანა გაეკეთებინათ ჩემთვის.

გადამიყვანეს რუსთავის №2 საპყრობილეში. სადაც მართალია არ მცემდნენ, მაგრამ არც სასეირნოდ არ გავყავდით, არც ექიმი იყო და არც წამლებს მაძლევდნენ. მერე მამა დამელუპა.

წამალს არ მაძლევდნენ, ექიმი არ მოდის და არ მსინჯავს, მეტი წამება რა გინდა?! როგორია ახლა, წარმოიდგინე, ღმერ-

თმა დაგიფაროს, ორმოცდაათი კაცი მთელი დღე რომ გელაპარაკება და მერე ხან სადა ხარ, ხან სად, თურმე თათარი ბიჭი კინალამ მოვკალი. ნამიჭერია ყელში, რა მომელანდა, არ ვიცი. მერე გონზე რომ მოვედი, ბოდიში მოვუხადე. შემდეგ ისევ დავინყე შიმშილობა, ოცდაცამეტი დღე ვიშიმშილე, ბიჭებმა განცხადება დამანერინეს სახალხო დამცველთან სოზარ სუბართან. ამის შემდეგ ფსიქიატრი მოვიდა და ფსიქიატრიულ განყოფილებაშიც გადამიყვანეს. იქ ვიყავი სამი თვე. შემდეგ ისევ ციხის დირექტორმა და იქაურმა სისტეკით ცნობილმა ჯალათებმა მცემეს და რაც კბილები მქონდა დარჩენილი ისინიც ჩამიმტვრიეს. მიზეზი იყო ის, რომ მოვითხოვე ერთი ტაბლეტი ჰალოპერიდოლი ერთ ტაბლეტ ციკლოდოლოთან ერთად მოეცათ (რაც დანიშნული მქონდა), რადგან ჰალოპერიდოლის დალევა ციკლოდოლის გარეშე არ შეიძლება. ამის მაგივრად მათ ორი ტაბლეტი ჰალოპერიდოლი მომცეს. ექთანს ვუთხარი, ციკლოდოლი მაკლიათქო, მომკლავდა ეს ორი ტაბლეტი ჰალოპერიდოლი. ციხის ოფიცერმა, ამის პასუხად შენ რა ამბავში ხარო და ფეხი ჩამარტყა. დავინყე გინება, დაიკეტა კარი და ოთხი წუთის შემდეგ გამიყვანეს ექიმების ოთახში, იქაც იგივე ჯალათები დამხვდნენ და მომკლეს ცემაში, ასე მეუბნებოდნენ, ნამალი გინდა? – აი ჩვენ ვართ შენი ნამალიო. ერთი კბილიც მომტეხეს მაშინ იქ.

ამას რისთვის აკეთებდნენ, ვერ გავიგე. ხალხში მასიური შიში უნდოდათ დაეთესათ, ალბათ. ჰიტლერი რომ იყო და კონცლაგერებში რასაც უშვებოდნენ ხალხს „ჰყავდათ ვირთხებივით“ – იგივეს აკეთებდნენ ესენიც.

ისინი მასას აშინებენ, სულ შიშის ქვეშ უნდა იყო, რომ რაც მათ უნდათ ის აკეთო. მერე უნდა აილო კაცობაზე ხელი, უნდა გახდეს მონა და რაც უნდათ, ის გაგაკეთებინონ – ყურით გათრიოს, რალაცაზე ხელი მოგანერინოს, ვილაცა „ჩაგაშვებინოს“, ვილაცაზე ტყუილი რალაც დაგაბრალებინოს.

ცხოვრება დამენგრა, ოჯახი დამენგრა, განადგურებული ვარ, არაფრის აღარ მწამს. ადამიანს რომ ვუყურებ, ეჭვით ვუყურებ. რა გგონიათ, გამოვედი და არ გრძელდება ჩემი ნამება?! – ცოლი ნანამები, აგერ ახლახანს გამოვიდა ციხიდან. სამი თვეა გარეთ ვარ და რა?! ამ ორგანიზაციის გარდა ვინ დამხმარებია?!

44 წლის დამიჭირეს, შვილები მყავდა და დიდება უფალს,

წესიერი ხალხი ბევრი იყო ციხეში. იქ ერთმანეთს ვუდექით გვერდში, ესენი რომ არ ყოფილიყვნენ და მე რომ შვილები არ მყოლოდა, თავს მოვიკლავდი.

ხალხმა სიკეთის თესვა უნდა ისწავლოს. ის ბოროტება, რასაც ისინი აკეთებდნენ, ხალხმა უნდა გაიგოს. ეს ჩემმა შვილმა, ჩემმა მეზობელმა უნდა გაიგოს, ეს ხალხმა უნდა იცოდეს, იქ რაც ხდებოდა.

ღმერთის უნდა იწამო! ყველა უნდა შევეცადოთ, რომ სიკეთე ვაკეთოთ. დააშავა ვილაცამ? – დავიჭიროთ, მაგრამ არ უნდა ვანამოთ, საღიზმისკენ მიდრეკილება არ უნდა გვქონდეს, ამით ერი და ქვეყანა იღუპება. ამ მთავრობასაც უნდა შევახსენოთ ყველაფერი, ის შეცდომები, რაც იმათ დაუშვეს, აღარ უნდა განმეორდეს, ეს უნდა აღმოვფხვრათ, დასასჯელი უნდა დაისაჯოს, მაგრამ არ უნდა ვანამოთ!

*(ისტორიაში ასახულია თბილისის №-5 (დახურული),
თბილისის №1, თბილისის №9 (ნახევრად დახურული),
თბილისის №9 (დახურული) დანესებულებებში გადატანილი
წამებისა და არაჰუმანური მოპყრობის ფაქტები)*

დავიბადე თბილისში 1972 წლის 19 აპრილს. ოჯახში ვიყავი პირველი შვილი. გავიზარდე სითბოში, ჩვეულებრივ თბილისურ, ქართულ ოჯახში. მყავს აგრეთვე ორი და. დავამთავრე 46-ე საშუალო სკოლა, სადაც იმდროინდელ მასწავლებლებს დღესაც ვახსოვარ, ვინაიდან ვიყავი ერთ-ერთი გამორჩეული მოსწავლე. ეროვნული მოძრაობის დაწყების პერიოდში ჩემში რაღაც შეიცვალა. კომკავშირის მანდატი დავხიე და მონაწილეობის მიღება დავინწყე გამოსვლებში, მიტინგებში. შემდეგ ჩავაბარე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე. ბავშვობიდანვე მინდოდა არქეოლოგი გაემხდარიყავი. იქაც ნორმალურად ვსწავლობდი, უბრალოდ, არ დამცალდა. მესამე კურსიდან მომინია უკვე ომში წასვლა, სადაც დავუმეგობრდი ერთ-ერთ მაღალჩინოსანს. ფაქტიურად, საბუთებით ისე გაფორმდა, თითქოს მე ვიყავი მისი დაცვის უფროსი. შემდეგ, დავიჭერი და „კანტუზიაც მივიღე“. ბევრი მეგობარი დამელუპა, ორი მათგანი ხელში ჩამაკვდა, ალბათ ამან განაპირობა ის ფაქტი, რომ გავეცანი ნარკოტიკებს. ამის მერე ამერია ცხოვრება. აი ეს იყო ჩემი დაჭერის მთავარი მიზეზი და საბაბიც იმიტომ, რომ ნარკოტიკებისთვის ფული მჭირდებოდა.

არასწორად ვცხოვრობდი, ორი კვირის განმავლობაში სამჯერ დამიჭირეს. რაღაცეები იკარგება და დააბრუნეო- მითხრეს მთანმინდის პოლიციაში. მე ვერ შევძელი, ვინაიდან მართლა არ ვიცოდი, ვინ რა გააკეთა და რომც მცოდნოდა, იქ ისეთ რაღაცეებზე იყო ლაპარაკი, რომ არავინ დააბრუნებდა...

ერთ დღესაც, როცა გამოვედი სახლიდან, ერთი მხრიდან მანქანა გამიჩერდა (თან პოლიციის გვერდზე ვცხოვრობ) და მეორე მხრიდან 50-მდე კაცი მომიახლოვდა. მე იმათ ვუყურებდი, ამ დროს, უკნიდან მანქანა მომიყენეს და დამაკავეს. ფაქტიურად, რაზეც დამაკავეს, შეიძლება ითქვას, რომ დამნაშავე არ ვყოფილვარ, მიუხედავად იმისა, რომ იქ ვიყავი დანაშაულის დროს. მაგრამ, იმას, ვისაც ჩადენილი ჰქონდა დანაშაული, როგორც მერე გაირკვა, დააძალეს – შენ გაგიშვებთო, ამას ხელს თუ არ დაადებო. მოკლედ, დამიჭირეს.

მიუხედავად იმისა, რომ გამომძიებელთან სერიოზული უსიამოვნება მომივიდა, (ხელიც კი დავარტყი) მომცეს მხოლოდ 4 წელიწად ნახევარი. 2006 წლამდე პატარა უსიამოვნებები მქონდა, ერთხელ გავილახე კიდევ ადმინისტრაციის მხრიდან, მაგრამ ყველაფერი გაუარესდა 2006 წლის ბუნტის შემდეგ. რადიკალურად შეიცვალა ის ურთიერთობა, რაც არსებობდა პატიმარსა და ზედამხედველებს შორის. თუ მანამდე პატიმარზე იყო დამოკიდებული ზედამხედველი და, ფაქტიურად, ასეც შეიძლება ითქვას, რომ „ჩვენი ხელიდან ჭამდნენ და ჩვენზე იყვნენ დამოკიდებულები, რამდენად, ბოდიში და, მაძღრები ეყოლებოდათ ოჯახები“, შემდეგ სახელმწიფო პილიტიკა სრულიად შეიცვალა. მათ ხელფასები გაეზარდათ, ანუ პატიმრებზე დამოკიდებულები აღარ იყვნენ და ყველაზე მთავარი რაც იყო, გაფუჭდა და აირია ურთიერთობა. აღარ გვიყურებდნენ როგორც ადამიანებს, ელემენტარული თანაგრძნობა აღარ ჰქონდათ. ამ პერიოდში ციხეში ყოფნა ფაქტიურად ჯოჯოხეთი იყო. თუ ვინმეს შეუძლია წარმოიდგინოს... ეს ისეთი გაცვეთილი თემაა, მაგრამ მაინც აუცილებლად უნდა ვთქვა, 20 ადგილიან საკანში 120 ადამიანიც კი ყოფილა.

მე ვიყავი ყოფილი თანამშრომლების საკანში, ვინაიდან ნაომარი ვიყავი და ქურდული მენტალიტეტის ტრადიციებთან გარკვეული უსიამოვნება მქონდა მოსული. მოკლედ, ეს ბუნტი რომ მოხდა, იმდენად „დავიზაფრე“ იმით, რაც მე იქ ვნახე, რო არ ვიცი რა... ახლაც ღამე სიზმარშიც რომ დამესიზმროს, იმაზეც კი, ბოდიში და, სულ ოფლიანს გამეღვიძება.

ბუნტის შემდეგ, აბსოლუტურად მთელი ციხე გამოიყვანეს, ზოგიერთი მოხუცებული ადამიანის გარდა. რუსული „პეს“ მაგვარი იყო ეს ძველი ციხე და ერთ–ერთ ფლიგელში ვიმყო-

ფებოდით ჩვენ. პირდაპირ ჩვენი საკნის წინ ხდებოდა ეს და ღია „კარმუშკიდან“ ყველაფერი ჩანდა. სულ ყველა გამოჰყავდათ, აშიშვლებდნენ, გრძელთმიანებს ბრიტვიტ ისე პარსავდნენ რომ ასისხლიანებდნენ, ძეცკვებს, ჯვრებს ან საათებს აგლიჯავდნენ და მთელი ძალით ძალიან ცუდი ხელკეტებით ანალურ ნაწილში ურტყამდნენ ჯოხებს. 6 ცალი ამიტრეპტინილის დაღევა დამჭირდა იმ ღამეს, რომ ეს ყველაფერი გადამეხარმა. მე ცემას მარტო იმიტომ გადავურჩი, რომ ჩემი ბავშვობის მეგობარი შემოვიდა – სოდის უფროსის მოადგილე იყო მაშინ და სულ ყველა გააფრთხილა რომ ამ საკანს ხელი არ ახლოთო. ამ ამბავს გადამარჩინეს, მაგრამ შემდეგ, როდესაც პირველი 10 ადამიანი წაიყვანეს კრიტში, მეც მათ რიცხვში მოვხვდი. იმ 8 წლიდან, 7 წელი და ერთი თვე „კრიტში“ მომიწია ყოფნა, აბსოლუტურად დახურულ სისტემაში.

რაც შეეხება წამებას, რამოდენიმეჯერ მქონდა მაგის გამოცდილება. ჯერ რომ მიმიყვანეს, მაშინ ძალიან მაგრად მცემეს, ისე მაგრად, რომ შუბლის ძვალი და კბილები ჩამემტვრა. ვერ მივხვდი რა უნდოდათ. თავს ვგრძნობდი აბსოლუტურად უსუსურად. კონფლიქტი, ალბათ ყველას მოსვლია, მაგრამ ვერ წარმომედგინა, რომ ადამიანის ასე ცემა შეიძლებოდა, როგორც მე გამლახეს. მახსოვს, შუბლი რომ გამიტეხეს, იმხელა ხმა იყო, რომ შეეშინდათ და გაჩერდნენ. მე უკვე აღარაფერზე ვფიქრობდი, ფეხზე ჩამოვეკიდე ერთს და გინება დავუწყე, ჯობია მომკლათ მეთქი. მაშინ მივხვდი, რომ მათთვის ადამიანის მოკვლა არაფერს ნიშნავდა, გაგანადგურებენ ერთ წამში, როგორც ასანთის ღერს, ისე გადაგტეხავენ.

კიდევ ერთი შემთხვევა იყო, შემომივარდნენ საკანში, ჩამიყვანეს თავიანთ კაბინეტში, იქ მოულოდნელად ალყაში მომაქციეს და სერიოზული ცემა დამინყეს. მეც თავს ველარ ვიკავებდი უკვე, ყბები მითამაშებდა და როდესაც დარტყმას ვაპირებდი ერთ-ერთის სიტყვებმა გამომაფხიზლა: მიდი, მიდი და კიდევ ერთხელ დაგიმატებთო. ამ დროს, სასჯელი უკვე დამატებული მქონდა. რამოდენიმე თვით ადრე, უსიამოვნება მომივიდა, რის გამოც ახალი საქმე აღმიძრეს და სასჯელი გამიორმაგეს: ჩვენ სადაც ვიყავით, იმ საკნებში არ იყო არც ტუალეტი, არც წყალი. ტუალეტში წესით და რიგით გეკუთვნოდა დღეში ორჯერ გასვლა. ისე მოხდა, რომ კუჭი მქონდა

აშლილი და დავინყე კაკუნი, რომ საჭირო ოთახში გავსულიყავი. ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ სადღაც 40 წუთამდე გავრძელდა ეს ყველაფერი და ბოლოს უკვე ისე ცუდად ვიყავი, რომ დავინყე აგრესიულად ლაპარაკი. ცოტა ხანში კარები გამიღეს, გამიყვანეს უფროსის კაბინეტში და შენ ვის აგინებდიო და მთელი გასაღებების აცმა ჩამარტყეს თავში... ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, დამინყეს ცემა და ცემა-ცემით წამიყვანეს ყოფილი სიკვდილმისჯილების „კრიტში“, სადაც თვეზე მეტი ვიყავი, სულ მარტო. ეს იყო ყველაზე მძიმე ჩემთვის. თურმე, არ შეიძლება, რომ კარცერი გააფორმო ათ დღეზე მეტი და 10 დღე რომ დამიმთავრდებოდა კიდევ 10 დღეს მიმატებდნენ, რომ ვითომ ვილაცას კიდევ მივაყენე შეურაცხყოფა. შინაგანად ძალიან ცუდად ვიყავი, ღმერთზეც კი გაბრაზებული... თავს ვგრძნობდი უსუსურად, მეგონა, რომ აბსოლუტურად არაფერს არ წარმოვადგენდი. ვუყურებდი ყოფილი სიკვდილმისჯილების დახატულ სურათებს, ნაწერებს... მანდ დავინყე ლექსების წერა. ეს კარცერის პერიოდი რალაცნაირად რომ გამოვიარე, მერე ისეე მომივიდა ადმინისტრაციასთან სერიოზული ჩხუბი. სათითაოდ გავგაპიშვლეს მე და ჩემი 4 მეგობარი, ოქტომბრის თუ ნოემბრის ბოლო იყო, უკვე საკმაოდ ციოდა და ბეტონის სარდაფში, ეგრეთწოდებულ „ფუქსში“ 8 საათის განმავლობაში შეგვაგდეს. თირკმელების შეტევა დამეწყო, არანაირი ტუალეტში გაყვანა, არანაირი ექიმი.

დარეკვის უფლება გვქონდა თვეში ორჯერ, 15 წუთი და წარმოიდგინეთ, როგორ ელოდები ამ პერიოდს, რომ გახვიდე და შვილს დაელაპარაკო, დედას, მეუღლეს. იქაც ისეთი პრობლემები შეიძლებოდა შეგქმნოდა რომ... ხშირად ყოფილა, რომ ჩემს მაგივრად სხვას ვუშვებდი ხოლმე დასარეკად. ამის გამო ოჯახი დაენგრა ბევრს, მეც მათ შორის. ეს ყველაზე რთული ტრავმა იყო ჩემთვის. წელიწადზე მეტი ენა მებმებოდა, ვერ ვლაპარაკობდი, ისე მძიმედ გადავიტანე.

ვერ გეტყვით, რომ სტრესს ვუმკლავდებოდი იმიტომ, რომ ფაქტიურად სტრესის ეს ექო, კიდევ ცოცხალია ჩემში, არაფერი არ მეხმარებოდა. ერთადერთი, მაგ პერიოდში ძალიან დავუახლოვდი ღმერთს-ერთადერთს, რისი იმედიც მაგ დროს შეიძლება გქონდეს. სხვა აბსოლუტურად არაფერი და არავინ არ არის შენი დამხმარე. მივდიოდი ხატებთან და ვლო-

ცულობდი. პატიმარზე უფრო გულწრფელი არა მგონია, ვინ-
მე იყოს, იმიტომ, რომ რასაც განიცდი გულიდან მოდის და
ამას ლაპარაკობ. იმიტომ, რომ სხვას ვერავის დაელაპარაკები;
დახმარების იმედი არავისგან გაქვს, აბსოლუტურად მარტო
ხარ. იქ, შეიძლება, ვილაცასთან მეგობრობ და აუცილებლად
მეგობრობ, მაგრამ იმედი, როგორც ესეთი მხოლოდ და მხო-
ლოდ უფლის გაქვს. ძალიან რთულია, როცა გეუბნებიან, რომ,
„ბიჭო, შენნაირები გაგვიტანია და გაგიტანთ, შენი ოჯახის
გარდა გული არავის დაწყდება“, ამას პირში გეუბნებიან და
ყოველ დღე გინევს ისეთ ადამიანებთან ურთიერთობა, რომ-
ლებსაც ნებისმიერ წამს შეუძლიათ გადაგინყვიტონ, ცოცხალი
იყო, თუ არა.

51

ძალიან ბევრი მიფიქრია იმაზე, თუ რითი აიხსნება მათი
საქციელი. ალბათ, უფრო მათი კომპლექსების ბრალია ის,
რაც იქცნენ ის ადამიანები. არ არიან ესენი ის ადამიანიე-
ბი, რომლებსაც ოდესმე რამე პასუხისმგებლობა გააჩნდათ,
ან სკოლაში, ან თუნდაც ქუჩაში, თავის ნაჭუჭში იყვნენ ჩა-
კეტილები. ხელში ჩაიგდეს ძალაუფლება, ადამიანებმა, რომ-
ლებიც ყველაზე და ყველაფერზე გაბრაზებულები იყვნენ და
არასდროს არაფერს წარმოადგენდნენ. რა თქმა უნდა გამო-
ნაკლისებიც იყვნენ, რაც აუცილებლად უნდა ითქვას, მაგრამ
იმდენად დაკომპლექსებულები, რომ ვერაფერს აკეთებდნენ.
ჩემთვის რამოდენიმეს უთქვამს – წყნარად იყავი, დამშვიდდი,
არ გინდა, თავი დაანებე მოგკლავენ, ნორმალური ადამიანი
ხარ... აი „ნორმალური ადამიანი ხარ“ – ვილაცისგან რომ გა-
ვიგებდი ხოლმე, რალაცნაირად ვძლიერდებოდი.

ჩემს ცხოვრებაში ეხლა ამ ყველაფრის შემდეგ ის შეიც-
ვალა, რომ ვისწავლე აგრესიის მართვა, თუმცა დაღი მაქვს
თითქოს დასმული. ვგრძნობ, რომ საზოგადოებაში გამოკვე-
თილად ცალკე ვარ. იმდენად მძიმეა ეს ყველაფერი, რაც ჩვენ
გავიარეთ და იმდენად იმოქმედა... თითოეული წამი, თითოეუ-
ლი დღე რომ გახსოვს... 2820 დღე მაქვს იქ გატარებული.
გარდა იმისა, რომ ვწერდი დღიურებს, შემიძლია ზეპირად გა-
ვისხსენო თითოეული წელი, თითოეული დღე...

ვცდილობ ვიცხოვრო ამ კომპლექსებით იმიტომ, რომ ჩე
მი ცხოვრებაა და ვერ წავშლი. აი, წიგნიდან რომ ფურცელი
ამოხიო და გააქრო... პატარა რომ ვიყავი, ზღაპრები მიყვარ-

და ძალიან. ჯერ კიდევ ბალში, დედამ კითხვა მასწავლა და მაგ პერიოდში რალაც ზღაპარი წავიკითხე, რომელიც ცუდად მთავრდებოდა. იმდენად ვინერვიულე, რომ ამოვხიე ეს ბოლო ფურცელი, ჩემებური დასასრული დავწერე და შიგნით ჩავამატე. აიამას ცხოვრებას ვერ უზამ. აგერ ჩამტვრეული შუბლი მაქვს, ამას რას ვუზამ? რამდენიც სარკეში ჩავიხედავ, ხომ სულ მახსენდება, როგორ უნდა წავშალო, რითი უნდა შევცვალო?

იმ ცემაზე ბევრად უფრო რთული იყო ადამიანური დამოკიდებულება ჩვენსა და მათ შორის. კარგი, მე დამსაჯე იმიტომ, რომ დამნაშავე ვარ; შენ ხომ უნდა იყო ჩემზე უკეთესი, მორალური უფლება ხომ უნდა გქონდეს იმისი, რომ რალაცაზე მითხრა “ შენ დამნაშავე ხარ”. ყველაზე მთავარი პრობლემა, ჩემი აზრით, მაინც ეს იყო, ხედავდი ამ უსამართლობას, დამოკიდებულების უსამართლობას, ზოგადად უსამართლობას, რომ შენ იყავი ის ადამიანი, რომელიც ისჯებოდი ვილაცისგან, იმ ვილაცისგან, ვისგანაც არ გეკუთვნის.

ერთადერთი, რაც მაკლია, ეს არის ოჯახი, რომელმაც ძალიან დიდი როლი ითამაშა. მარტო ვარ ეხლა, მაგრამ მაინც რალაც იმედი მაქვს და მაინც მგონია, რომ ყველაფერი კარგად იქნება.

მიუხედავად იმისა, რომ მეუღლე გამშორდა, ნამდვილად შემიძლია ვთქვა, რომ ძალიან ძალიან მიყვარს და მისი თანადგომა ბევრჯერ მიგრძვინია. პირველი 4–5 წელი არ მომშორებია გვერდიდან. დედა, ჩემი დები, შვილი, რომელიც პატარაობიდანვე შეეჩვია იმას, რომ ციხეში უნდა მოსულიყო ხოლმე ჩემთან... ისინი რომ არ ყოფილიყვნენ, მე შეიძლებოდა ვერ გამეძლო. როდესაც, ცუდი პერიოდი მქონდა ხოლმე, აი ის მაძლიერებდა ყოველთვის, რომ ვიცოდი, გავიდოდი გარეთ და ჩემებს, რომლებსაც ამხელა ზიანი მივაყენე, ვნახავდი. ეს იყო ყველაზე დიდი, რაც მქონდა – ჩემი ოჯახი. ეს ოჯახი, რომ არა მე შეიძლებოდა სხვანაირად დამემთავრებინა ეს ყველაფერი.

მკითხველს, პირველ რიგში, ვეტყოდი, რომ ძალიან შორს დაიჭირონ თავი ნარკოტიკებისგან, რომ ისწავლონ დაფასება იმისი, რაც აქვთ. მე ბევრ რამეს ვერ ვაფასებდი. ისე ვიღებდი, როგორც იყო, თითქოს მეკუთვნოდა. აქედან გამომდინარე,

ბევრი რამ დავკარგე და რომ დავკარგე, ფასი მერე გავიგე. მინდა რომ ჩემი შეცდომები გაითვალისწინონ და იცოდნენ, რომ დაუფასებლობა არ შეიძლება. ამ წიგნს ის მნიშვნელობა ექნება, რომ კიდევ ერთ ისტორიას მოისმენს ხალხი, შეიძლება, ვილაცისთვის არც თუ ისე საინტერესოს, მაგრამ რეალურს. ამაში ვიცხოვრე 8 წელიწადი. ვილაცას მართლა სტკივა და თუ მართლა ვილაცას ეს სტკივა, ეს მაინც უნდა იცოდნენ, სულ ცოტა იმიტომ, რომ აღარ განმეორდეს. მეც გპირდებით, რომ მეც დავწერ ამის შესახებ, მითუმეტეს, რომ ჩემი დღიურები ამის საშუალებას მაძლევს.

(ისტორიაში ასახულია გლდანის №8 და რუსთავის №17 დაწესებულებებში გადატანილი წამებისა და არაჰუმანური მოპყრობის ფაქტები)

54

დედა ფეიქარი იყო, ქსოვდა, მამა – სტალინის სახელობის სატრანსპორტო ცეხის უფროსი. და-ძმა არ მყავს. 5 წლიდან ვვარჯიშობდი. ჩემი დილის ვარჯიში იყო 7 საათიდან 8–მდე, დავრბოდი, აუზზე დავდიოდი, ბოქსზეც დავდიოდი, ერთხელ ბოქსზე შეჯიბრი მქონდა, მასწავლებელს ვთხოვე და გამიშვა გაკვეთილიდან, მაგრამ სკოლის კარი დაკეტილი დამხვდა, კარის კაცი გასაღებს ჯიბეში იღებდა და მეორე სართულიდან თუ არ გადმოხტებოდი გარეთ ვერ გამოხვიდოდი, გადავხტი, ფეხი მოვიტეხე და მორჩა ბოქსი, მერე ფეხბურთი მორჩა, მერე ჭიდაობა მორჩა. ნიჩბოსნობაზეც დავდიოდი, ყველაზე მეტად სპორტის ეს სახეობა მომწონდა. სპორტის გამო სწავლას ველარ ვასწრებდი. მამა მომთხოვნი იყო, ვარჯიშიც უნდოდა რომ მომესწრო და სწავლაც. მამა მკაცრად მზრდიდა, იმდენად მკაცრად, რომ მგონი, ზედმეტი მოუვიდა და ჯობდა, რომ უფრო რბილად მომპყრობოდა.

14 წლის ვიყავი, როცა პირველი კრიმინალი ჩავიდინე. ეს ბავშვური საქციელი იყო. მანქანა მოვიპარე – „მოსკვიჩი“. გვერდზე ძმაკაცი, უკან ძმაკაცი და ხომ არ „გავიკატაოთო“ და აი ამ „კატაობის“ პროცესში მანქანა დავამტვრიეთ. მერე პატრონი ვცემე. როგორც არასრულწლოვანი, თავი შეიკავეს ჩივილისგან.

14 წლიდან უკვე ველარ მიჭერდა მამაჩემი, დაიწყო ჩემთან ძმაკაცურად მოდგომა და, შეძლებისდაგვარად, ვძმაკაცობდით. მერე მამა ოჯახიდან წავიდა, მაგრამ მაინც მოდიოდა, რჩებოდა. დამინესა, უნდა მევარჯიშა და მესწავლა კიდევ.

ყოველთვის მაქსიმალურად მტვირთავდნენ ტრენერები, ვარჯიშიდან დაღლილი მოვდიოდი და სწავლა ველარ შევძელი. მამა ღამე დამსვამდა,; აი ამას ისწავლი, დაიძინებ; არ ისწავლი, არ დაიძინებ.“ კარგი, ერთხელ ვისწავლი, არ განწყენინებ, მაგრამ სისტემატიურად ამას მე ვერ ვაკეთებდი, ბავშვი ვიყავი, ებოში მინდოდა. 14-15 წლის მერე უკვე ველარ მიბედავდა, ხელით მეხებოდა იმიტომ, რომ უკვე ძალიან აგრესიული ვიყავი.

მშობლების დამორების მიზეზი მამაჩემის მექალთანეობა იყო. დედაჩემი ჩვეულებრივი ადამიანი იყო, ემორჩილებოდა. ამდენს როგორ იტანდა, დღემდე ვერ ვხვდები, როცა წამოვიზარდე დედას ვეფარებოდი, როგორც ფარი და იქეთ შეტევაზე გადავდიოდი. რა ექნა დედაჩემს? დილით სამსახურში მიდიოდა, საღამოს მოდიოდა, სუფთად გვაცმევდა, საჭმელს გვახვედრებდა და მეტი ქალმა რა უნდა შეძლოს, ეს იყო დედაჩემის ცხოვრება.

როცა გავიზარდე მე უკვე მამაჩემი აგრესიას ველარ გამოხატავდა, ველარც დედაზე იწვედა ფიზიკურად; სიტყვიერად თუ გადააჭარბებდა, ვეუბნებოდი, ნუ აჭარბებ მეთქი.

მამა ოჯახიდან რომ წავიდა, მე, ალბათ 16 წლის ვიყავი. სკოლა რომ დავამთავრე თავისთან გამაფორმა სამსახურში, ჩაბარება არსად ვცადე. სპორტშიც ამერია საქმე, თვენახევარი ჩამორჩენა მქონდა, რადგან 9 აპრილის მერე, სავარჯიშო ადგილი მონამღული იყო. ეს ძალიან დიდი პერიოდია სპორტისთვის. ჩემს ტრენერს ვკითხე, რა ვქნა მეთქი, პასუხი არ გამცა და ამპარტავნობით და იმით, თუ როგორ არ გამცა პასუხი მეთქი, მოვტრიალდი და წამოვედი.

17 წლამდე ნარკოტიკს არ მოვიხმარდი, არც სიგარეტს.

მამას ჰყავდა სხვა ცოლი და აუარებელი საყვარელი.. როცა გაეხარებოდა ჩვენთან მოდიოდა, თავისი საწოლო ჰქონდა. დედა ისევ ისე ხედავდა, უვლიდა და უშვებდა დილით გასუფთავებულს. დედის კისერზე იყო ყველაფერი. მამა თავის კაცი იყო – ქალები, დროს ტარება... რალაცაში მეც დავემსგავსე მამას, მეც ისეთი ცხოვრება გამომივიდა – ქალებთან არა, მაგრამ ნარკომანია – ჩემი სიამოვნებისთვის ვიცხოვრე, ასე გამომივიდა... 15 წლის შვილი მყავს და ცოლი. რა ვიცი, მაინც ვეძახი ცოლს იმიტომ, რომ მე.... 24 წლის დავქორწინდი 1997 წელს, შვილი 98–ში მეყოლა. სიყვარულით მოვიყვანე

ცოლი და ოჯახი არ დამენგრეოდა, მარტო რომ მეცხოვრა ჩემ ცოლ-შვილთან ერთად. ამ დასკვნამდე ბევრჯერ მივედიტ მეც და ჩემი ცოლიც. დედასთან ერთად ვცხოვრობდი, დედა და მეუღლე ერთმანეთს ვერ ეგუებოდნენ. ძალიან ძნელია, როდესაც კაცი ხარ და ორი ქალი, რომელსაც შენ უყვარხარ, ვერ გინანილებს.

17 წლიდან დავიწყე ყველაფერი საძაგლობა, თუ რამე არსებობს – სიგარეტი, მოსაწევი, წამალი და დაღევა. ჩემმა ცოლმა იცოდა ნარკომანი რომ ვიყავი. ასევე 17 წლიდან კრიმინალურ სამყაროსთან მიწევდა უკვე ინტენსიურად ურთიერთობა. 90-იან წლებში იარაღი მქონდა. ხულიგანი არ ვიყავი, მაგრამ იარაღი რომ გაქვს, ამით სარგებლობ – მოძრაობ, რაღაცას აფუჭებ, აკეთებ, უკვე შენი სტატუსი გაქვს.

1992 წელს გამასამართლეს, 18 წლის დამიჭირეს და 19-ის გამასამართლეს. თავდებით გამოვედი. დედამ საბუთების გაკეთება დაიწყო, რომ თბილისში გადმოვსულიყავი. ავადმყოფობის მიზეზით, თბილისში გადმოვიტანე საბუთები. მერეც ძებნაში ვიყავი, რაღაც უაზრობებს მედავებოდნენ, რაც ჩემ კორპუსში ფუჭდებოდა, ყველაფერს მე მაბრალებდნენ, მაგრამ ადვილი დასაჭერი არ ვიყავი, ყველა მხრიდან გავრბოდი, საიდანაც შეიძლებოდა. 91 წლიდან 97 წლამდე სულ პრობლემა მქონდა და სულ ვიმალებოდი. ოფიციალური ძებნა არ იყო გამოცხადებული, მაგრამ სახლში ვერ ვცხოვრობდი. ამ პრობლემების გამო გავყიდე სახლი და ძებნის პროცესში ცოლი მოვიყვანე. მერე წავედი უცხოეთში, ცოლიც უნდა წამეყვანა, მაგრამ ფეხმძიმედ იყო და აქ დავტოვე, აღარ წავიყვანე. წელიწადი და ორი თვე იქ ვიყავი. 8 თვის იყო ბავშვი, რომ ჩამოვედი.

ნარკოტიკს სისტემურად მოვიხმარდი უკვე. ისეთ „სასტავში“ ჩავერთე, ვინც საზღვარგარეთიდან გზავნიდა ნარკოტიკს. პირდაპირ ჩემს სახელზე რომ გამოეგზავნა, არ გამოვიდოდა. ის უგზავნიდა ვილაცას და ეს ვილაცა დებდა ამ ნარკოტიკს კონკრეტულ ადგილზე. მე უნდა მივსულიყავი და ამელო საღვალაც ვილაცის დადებული ნარკოტიკი, ოღონდ ვინ დებდა არ ვიცოდი, ვიცოდი მარტო გამომგზავნი. გამომგზავნი მეუბნებოდა, მიხვალ აი აქა და აქ, ამა და ამ სადარბაზოში, ამა და ამ სართულზე, ანევე ქვას, იქ იდება, აილებ და შენია, ნაილებ და მორჩა, დანარჩენი არაფერი. ორი პრეპარატი უნდა გამოგზავ-

ნილიყო – სუბოტექსი და მორფი. მორფი საერთოდ გაქრა ამ საქმიდან და სუბოტექსით „დაგვგრუზეს“ ყველა ვინც დაგვიჭირეს. სპეც. ოპერაცია იყო და ოთხი ჯგუფი დაიჭირეს. „შეგვიკერეს“ საქმე. ერთხელაც მივდივარ და რომ უნდა ამელო 10, დამხვდა 100. წარმოიდგინეთ, ამდენ ნარკოტიკზე რო იჭერენ, პირველი იცი, რომ ბინაზე მიდიან და ჩხრეკენ. გასაღები მივცი, რადგან დედა ავად იყო და ფიზიკურად ვერ გაუღებდა კარს, მაგრამ ბინა არ გაუჩხრეკიათ იმიტომ, რომ იცოდნენ, სახლში არაფერი დახვდებოდათ. რეალიზაციის მცდელობისთვის დამაპატიმრეს.

ჩემს ძმაკაცს, ჩემთან ერთად ვინც დაიჭირეს, ფული გადაახდევინეს და გამოუშვეს, პირობითით გამოვიდა, მაგრად გადარჩა. მე უნდა მეკვლია და დამესახელებინა ის ადამიანი ვინც რეალურად რეალიზატორი იყო, რაც არ გავაკეთე, ამის გამო მომისაჯეს 10 წელი პატიმრობა და 4 წელი პირობითი, ეს მოხდა 2008 წელს.

ციხეში თავიდან არანაირი პრობლემა არ მქონდა. გლდანის მერვე დაწესებულებაში ვიყავი, ციხის უფროსი კარანტინში რომ შემოვიდა იძახდა, აქ მე ვარ ყველაფერი და ვინც რამეს ზედმეტს გააკეთებთ, ასე და ასე მოგივათო.

კორპუსზე როცა ავედით, ხდებოდა ისე რომ შეშლიათ კამერა, საიდანაც ხმა გამოსულა და მთელს ოთხ სართულზე დაგვრევიან, ცემით გვანგრევდნენ. მე ცხვირი ჩატეხილი მაქვს. „კოიკაზე“ შემაჯახეს ისე, რომ გონება დავკარგე და გონებადაკარგულს ისევე მცემდნენ. კბილები მაქვს დაკარგული, ტვინის შერყევა არაერთხელ მაქვს მიღებული, ყურის ბარაბანი გამიხეთქეს...

უმიზეზოდ გვცემდნენ. ზოგჯერ სიტყვას ვუბრუნებდით, შეგინებაც ყოფილა. რომ გკლავენ ცემით, შეაგინებ აბა რას იზამ ბოლო-ბოლო. მერე უფრო გიმატებენ და გიმატებენ. ჯანმრთელობა გაგვინადგურეს, ბევრს ხერხემალი დაუზიანეს, ისე რომ სიარული აღარ შეეძლოთ... მე, კონკრეტულად, ყური და ცხვირი გამიხეთქეს, ღვიძლი დამიზიანეს იმდენი მირტყეს მუცელში.

ერთხელაც „პრავერკაზე“ შემოვიდნენ კამერაში, მკითხეს რამე ისეთი ბასრი საგანი ხომ არ გაქვსო. ბასრი რა უნდა მქონოდა, არაფერი იქ არ შემოდიოდა. „ელემენტის“ რკინის პატარა ნაჭერი მქონდა გალესილი, „კალბასი“ რომ დამეჭრა. პურს

ხელით ვტეხავდით ან თოკით ვჭრიდით. ხოდა, თუ რამე გაქვთ, მოგვეცითო და წავალთო. მეთქი, არაფერი არ გვაქვს, ეს არც ჩავთვალე საჭიროდ მეთქვა. იპოვეს ეს და ვისიაო. ჩემია მეთქი და ამ პასუხზე ისე მომხვდა მოულოდნელად ყურებში ხელი, რომ წავიდა და ხელები დაიბანა, არ ვიცი, რამ გამოასხა ყურებიდან, სისხლი კი წამომივიდა. მეორედ ფეხი ამომიქნია, ფეხი დავიჭირე, უკვე მდგომარეობიდან გამოვდიოდი... მე თუ სადმე გადავეყარე იმ ადამიანს, არ ვიცი, როგორ ვაპატიებ და როგორ შევარჩენ ამას. ეს მუქარა არ არის, მაგრამ ყურის ბარბანს მაინც, ყველაზე მცირე, დავუზიანებ. მერე იქ ზონაში ცოტა ვიმკურნალე, ცოტა მეშველა, მაგრამ დღესაც მანუხებს. არის მომენტები, როცა ტკივილი მაქვს და მახსენდება ის ყველაფერი, რამდენი კბილი მეტკინება, რამდენი ყური მეტკინება, ცხვირი ეხლა ისე არ მტკივა, მაგრამ დღე და ღამე წამალს ვისხამ, რომ ვისუნთქო (ვერ ვსუნთქავ, საოპერაციო მაქვს), და ტვინის შერყევებზე უბრალოდ აღარ ვლაპარაკობ...

ისინი ალბათ ბავშვობიდან გაბოროტებული ადამიანები არიან, რომლებიც სკოლაშიც იჩაგრებოდნენ, ბუნებითაც ბოროტები იყვნენ და ეს კატეგორია ჰყავდათ შერჩეული. შეიძლება, იყო კატეგორია, რომელიც გაბოროტებული იყო და გაცნობიერებულ ბოროტ მოქმედებას აკეთებდა; ასევე კატეგორია იყო, გაბრიყვებულების და დაჩაგრულების – აი, დავალებას რომ მისცემ და დიდი სიამოვნებით შეასრულებს და ამის გულსთვის რა მოელის მეორე დღეს, თვითონაც რომ არ იცის.

იყვნენ მართლა რალაცნაირად, სხვანაირად გაბოროტებულები. ცდილობდნენ, რომ რალაც მიზეზი დაეჭირათ, რათა შეურაცხყოფა მოეყენებინათ, თუ შეელაპარაკებოდი, შემოცვივდებოდნენ და მიდიოდა „ფეხბურთი“. ამ ყველაფრის დაძლევაში ერთმანეთს ვეხმარებოდით, რადგან იმ ექიმისთვის გინდ დაგეძახა, გინდ არა – მოჰქონდათ სულ ერთი მალამო და ანალგინი. ერთმანეთს ვუვლიდით, თუ რამე შეგვეძლო, ყველაფერს ვუკეთებდით, მაგრამ მედიკამენტები არ გვქონდა.

ფრჩხილები ავიცალე ჩემი ნებით ფეხზე, იმიტომ რომ მიბრუნდებოდა. წარმოიდგინეთ, ორივე ფეხზე ფრჩხილები მაქვს აცლილი და ასეთ მდგომარეობაში, შეცდომით წამიყვანეს სა-

სამართლოზე. იმ დამეს, როცა ფრჩხილები დავიცალე, ადვოკატი იყო შეცდომით შემოსული, მეორე დღეს მეძახიან, რომ ხვალ „სუდზე“ ხარო. ვერ წამოვალ მეთქი. ორივე ფეხის თითებზე ფრჩხილები მაქვს დაცლილი წარმოიდგინეთ – არანაირი ადგლობრივი ანესთეზია და შემდეგ არანაირი ტკივილგამაყუჩებელი. ამოვიდა ერთი პარტია მორიგე, უნდა წამოხვიდეო. მე რე მეორე პარტია ამოდის და ის ერკვეოდა ალბათ და იმან, ადამიანური თვისებებიდან გამომდინარე, თქვა, რომ ამის ასე წაყვანა არ შეიძლებაო. სულ რომ ვერ იაროს, მუხლის ცოცვით უნდა წავიყვანოთო და ძალით წამიყვანეს სასამართლოზე. მივედით სასამართლოზე – ვეუბნები, მე მეთქი ამდენ ხალხთან ერთად ვარ დაჭერილი, არცერთი აქ არ არის, არასწორად მომიყვანეთ მეთქი. ქუსლებზე დავდივარ, სულ მენვის ყველაფერი და მომცეს მხოლოდ ბამბები რომ გადავიხვიო და სისხლი არ წამომივიდეს ფეხზე დგომის გამო. ციხეში რომ მომიყვანეს, ჩუსტებს ველარ ვიხდიდი, ფეხები ისეთი დასიებული მქონდა.

59

ამ მოვლენების მერე ჯერ დედა გარდამეცვალა, მერე მა მა... ბევრ რამეზე შემეცვალა აზროვნება და თუნდაც იმაზე, რომ საქართველოში ცხოვრება აღარ მინდა. აი, ეს „ჩადების“ მენტალიტეტი კომუნისტების დროსაც იყო, მაგრამ ეს ხდებოდა როდის იცით? როდესაც ადამიანი იყო დამნაშავე და ვერ იჭერდნენ ფიზიკურად, კონკრეტული ფაქტებით, მას უდებდნენ იარაღს, წამალს და უშვებდნენ „სროკზე“. მაგრამ ახლა ჩემს სიტუაციაში, რაც მე გამიკეთეს აღარ მინდა საქართველოში ცხოვრება, რადგან შეიძლება ხვალ და ზეგ რომელიმე ოპერმუშაკს გზა გადავუკვეთო ჩემი ცხოვრებით და იმან მე, რადგან ნასამართლეობის მქონე ვარ და ეს წარსული მაქვს, ერთი ან ორი სიბინძურით შეიძლება „გამფაქტოს“ და „სროკზე“ გამიშვას. ამის მაგალითები ჩვენ გვაქვს. რადგან მე ასეთი წარსული მაქვს, ეს ხომ იმას არ ნიშნავს, რომ ასე ვაგრძელებ ცხოვრებას. ვილაცის კონკრეტული ინტერესის გამო, შეიძლება ისევ ამირონ, ამიტომ მინდა საქართველოდან წასვლა ისეთ ქვეყანაში, სადაც ასეთი რამეები არ ხდება. ვუფროთხი ამ ცხოვრებას, სულ რომ არ გავბოროტდე. ახლა გავბოროტებული არ ვარ, პირიქით, ბევრი რაღაც შეიცვალა ჩემს ცხოვრებაში. 5 წლის წინათ, მაგალითად, ისეთი რამ გამიკეთეს ჩემმა ახლობლებმა, თვალდაუხუჭავად დავაკარგინებდი საერთოდ

სიცოცხლეს, მუსრს გავავლებდი, მაგრამ დღეს მიმტევებელი გავხდი უფრო; ეკლესიასთან არ მქონდა კონტაქტი, ახლა მაქვს. ბევრი კარგი თვისება შევიძინე იქ, ბევრი კარგი და ბევრი საჭირო ქრისტიანი ადამიანისთვის. მაგრამ რა არის იცით? – მამაოს ველაპარაკე და მითხრა, რომ ცუდი თვისებები მიიძინებს იმ შემთხვევაში, თუ ღმერთთან ახლოს იქნები, თორემ მე თუ ღმერთს დავცილდი, იგივე პიროვნება გავხდები, რა პიროვნებაც ვიყავი ჩემი ბუნებით. ჩემი სიმკაცრით, მიმტევებელი აღარ ვიქნები, ისევ ისეთი ნაგავი გავხდები როგორც ვიყავი. იმ ცხოვრებას ნაგავს ვეძახი, რაც მე ვიცხოვრე, მაგრამ ახლა უკან რომ დავბრუნდე შეიძლება ისევ იმ ცხოვრებით მეცხოვრა, მაგრამ ბევრ რამეს მაინც შევცვლიდი, უფრო სასიკეთოდ გამოვიყენებდი. ისევ ისე ვიცხოვრებდი, უფრო ჭკვიანურად და მეტ სიკეთეს გავაკეთებდი.

რომ გამოვედი, ადამიანებისგან სიცივე ვიგრძენი, მაგრამ ბევრი თბილად შემხვდა... პატიმარ ადამიანს და საერთოდ, ადამიანს, სულ ცოტა ახარებს და ცოტა წყინს.

მუშაობა მინდა დავინყო. 2003 წელი იყო და მუშაობის დანყება გადავწყვიტე, ჩემი ძმაკაცი „მენიძლავებოდა“ სამ თვესაც ვერ იმუშავებო. მეტი, ერთი წელი უნდა ვიმუშავო, ასეთი დავალება მივეცი საკუთარ თავს და გავართვი კიდეც თავი ამ დავალებას მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში ოჯახი დამენგრა, მუშაობის პროცესში ისეთი რალაცეები ავიტანე – ინტრიგანი „კლიენტები“, რალაც „კუხნებს“ ვამონტაჟებდით. სურვილი მაქვს, რომ ვიმუშავო, რომ სანამ აქ ვიქნები, რალაცით გავერთო და თავიც შევინახო. ახლა ძმაკაცების კისერზე ვარ, მაგრამ იმათაც უჭირთ... იქაც ძმაკაცები მეხმარებოდნენ და აქაც, ჯერჯერობით მიტანენ იმიტომ, რომ ახალი ვარ და მერე ვნახოთ. არ ვარ ზარმაცი და რალაც პერსპექტივებიც მაქვს. უნდა მივხედო ჩემი ცხოვრების წესს და გავაკეთო რალაც ისეთი, რომ რამდენიმე წლის შემდეგ მქონდეს სტაბილური შემოსავალი, მქონდეს შესაძლებლობა თუნდაც ეკლესიაში მისვლის, სანთლის ყიდვის, პურის ყიდვის, საჭმლის, ჩაცმის... ძალიან ცოტა დრო მაქვს ამისთვის, 40 წლის ვარ და ვიძახი რომ 10 წელი მაქვს დრო.

ამ წიგნის გამოცემას დიდი მნიშვნელობა აქვს. ადამიანებმა უნდა წაიკითხონ ეს წიგნი, ოღონდ ჩამოყალიბებულმა ადამიანებმა, ცოტა მოზრდილებმა, მაგალითად, 17-18-19 წლის

